# ბრძოლა ანტიგენდერული მოძრაობების წინააღმდეგ: პოპულისტური ფემინიზმისთვის?

***ავტორები:*** *აგნეშკა გრაფი და ელზბიეტა კოროლჩუკი*

***მთარგმნელი:*** *გიორგი ჩუბინიძე*

**წიგნიდან:** ანტიგენდერული პოლიტიკა პოპულისტურ დროში
**წყარო/ციტირება:** Graff, A., & Korolczuk, E. (2021). Anti-Gender Politics in the Populist Moment (1st ed.). Routledge. https://doi.org/10.4324/9781003133520

2016 წლის 3 ოქტომბერს, წვიმიან ნაშუადღევს ვარშავაში საქალაქო ავტობუსში ვისხედით, ერთმანეთს გაოგნებულები ვუყურებდით. ჩვენი თანამგზავრების ნახევარი მაინც სხვადასხვა ასაკის ქალები იყვნენ, ყველა შავებში ჩაცმული, ბევრ მათგანს არა მხოლოდ სველი ქოლგები, არამედ ფემინისტური აბრები და ბანერები ეჭირა. ჩვენ ყველანი ერთი მიმართულებით და ერთი მიზნით მივდიოდით: მიგვეღო მონაწილეობა პოლონეთში აბორტის აკრძალვის შემოთავაზებული კანონის წინააღმდეგ საპროტესტო აქციაში. ჩვენც გვეჭირა ხელნაკეთი აბრა, რომელიც კაცებს ჩვენს ბრძოლაში იწვევდა და ჩვენც ვიგრძენით ქალაქს მოდებული ემოციების ტალღა: ბრაზი, იმედი, აღფრთოვანება და სოლიდარობის თავისებური განცდა. ფემინისტური რევოლუცია, რომელსაც ჩვენ დიდი ხანია შეუძლებლად მივიჩნევდით, ჩვენ თვალწინ მიმდინარეობდა.

2016 წლის დასაწყისიდან პოლონეთი ქალთა უპრეცენდენტო მასშტაბის მობილიზაციის მომსწრე გახდა: მსვლელობები, მიტინგები, პიკეტები, საჯარო დებატები და სოციალური მედიის კამპანიები, თავდაპირველად, აბორტის უფლების სრული აკრძალვის შემოთავაზებას ეხმაურებოდა, რომელიც ანტი-გენდერული კამპანიების ერთ-ერთმა მთავარმა აქტორმა, ორდო იურისის ინსტიტუტმა დააყენა დღის წესრიგში. პროტესტის პირველმა ტალღამ პიკს 2016 წლის 3 ოქტომბერს პოლონელ ქალთა გაფიცვით (ამიერიდან „გაფიცვა“) მიაღწია ჰეშთეგით #BlackMonday, რომელმაც მთელი ქვეყნის მასშტაბით, 200 ქალაქში, 150 000 ადამიანის მობილიზება შეძლო. მოძრავი ვიზუალით — ვარშავის ციხის მოედანზე "ქოლგების ზღვის" სურათები, შავებში ჩაცმული უამრავი გაბრაზებული ქალის სახე და რადიკალური ბანერები დასამახსოვრებელი სიმბოლოებით (იხ. სურათი 6.1) - ე.წ. შავი პროტესტი

საერთაშორისო მედიაში მოხვდა და მნიშვნელოვანი პრეცედენტი შექმნა ერთი წლის შემდეგ 2017 წლის 8 მარტის ქალთა საერთაშორისო გაფიცვისთვის. (Graff 2019; Gunnarsson Payne 2020b; Korolczuk et al. 2019; Kubisa და Rakowska 2018; Majewska 2016; Murawska და Włodarczyk 2017).

ამ თავში ჩვენ გთავაზობთ ქალთა მობილიზაციის მოკლე მიმოხილვას მთელ მსოფლიოში, რომელსაც პოლონეთის შავი პროტესტების დეტალური აღწერა მოყვება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია შემოგთავაზოთ ყველა ქვეყნის ფემინისტური პროცესების ყოვლისმომცველი სურათი, ჩვენ ხაზს ვუსვამთ პოლონური მოძრაობის ტრანსნაციონალურ კავშირებს, პოლონელ ქალთა გაფიცვის საერთაშორისო წყაროებსა და რეზონანსებს. შემდეგ, ჩვენ განვიხილავთ მობილიზაციის წარმატების მიზეზებს: მძლავრი კულტურული სიმბოლოების ეფექტურ გამოყენებას, პროტესტის გაფიცვის სახით ჩამოყალიბების შედეგებს და მობილიზაციის მაკავშირებელი ლოგიკის მნიშვნელობას, რომელიც დაფუძნებულია მოქნილი, ადვილად პერსონალიზებული სამოქმედო ჩარჩოების გამოყენებაზე. და ბოლოს, ჩვენ განვავითარებთ არგუმენტს „პოპულისტური ფემინიზმის“ შესახებ, კერძოდ, ფოკუსირებულს მონაწილეთა "ჩვეულებრივ ქალებად" თვითიდენტიფიცირებაზე, ემოციების მობილიზებასა და განსხეულებული [embodied] ცოდნის გამოყენებაზე, რომელიც პოპულისტური მოძრაობებისთვის დამახასიათებელი ეპისტემას სახეა (Gunnarsson Payne 2020b. ; Korolczuk 2020).

## ფემინისტური ორგანიზების ახალი ტალღა: ქალები, რომლებიც მემარჯვენე პოპულიზმს ეწინააღმდეგებიან

მიუხედავად იმისა, რომ პოლონური მობილიზება შეიძლება განიმარტოს, როგორც უბრალოდ მასიური რეაქცია შემოთავაზებულ აბორტის სრულ აკრძალვაზე, ჩვენ მას განვიხილავთ, როგორც მემარჯვენე პოპულიზმის წინააღმდეგ, უფრო ფართო ბრძოლის ნაწილად - ეტაპად რომელშიც ფემინიზმი ინიციატივის მოპოვებას ცდილობს. პოლონეთის ქალთა გაფიცვის ლიდერთა ჯგუფი ინარჩუნებდა მტკიცე კავშირებს ‘კანონისა და სამართლიანობის’ მთავრობის უფრო ფართო ოპოზიციის სხვა აქტორებთან. კერძოდ, ფემინისტი ორგანიზატორები მჭიდროდ თანამშრომლობდნენ სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებთან, როგორიცაა დემოკრატიის დაცვის კომიტეტი (Komitet Obrony Demokracji, KOD) ან პოლონეთის რესპუბლიკის მოქალაქეები (Obywatele RP), ამავდროულად განუწყვეტლივ ხაზს უსვამდნენ გაფიცვის, როგორც ფემინისტური მოძრაობის ავტონომიურობას. ზოგიერთ შემთხვევაში, აბორტის

აკრძალვის წინააღმდეგ საპროტესტო აქციები ორგანიზებული იყო KOD ჯგუფებში ჩართული ქალებისა და კაცების მიერ. მარტა ლემპარტი, პოლონეთის ქალთა გაფიცვის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი, ქალთა მობილიზაციამდე ადგილობრივი სტრუქტურების საქმიანობაში იყო ჩართული და არ ჰქონია შეხება ფემინისტურ მოძრაობასთან. ისინი ატარებდნენ განმასხვავებელ ნიშნებს – მაგ. ქალთა გაფიცვის სიმბოლოებს - Gals4Gals-ის ბანერებს, საკიდებს, fuck-you-uterus და მებრძოლი პოლონელი ქალის გამოსახულებებს; ისინი ასევე მონაწილეობდნენ და ზოგჯერ აორგანიზებდნენ დემონსტრაციებს, რომლებიც არ ეხებოდა ქალთა უფლებებს, მაგ. საპროტესტო აქციებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდასაჭერად 2018 წელს (Kubisa და Rakowska 2018). თუმცა, აქტივისტები საოცრად თანმიმდევრულები იყვნენ იმ მოლოდინის უარყოფაში, რომ ქალთა საკითხები უკანა პლანზე  უნდა დაეყენებინათ, შეეწირათ ან გადაედოთ "დემოკრატიის გადარჩენის უფრო დიდი იდეის" სასარგებლოდ.

ის, რაც შავ პროტესტს *კანონისა და სამართლიანობის* პარტიის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო ტალღისგან გამოარჩევდა იყო ის, რომ ქალთა მობილიზაცია ღიად უპირისპირდებოდა კათოლიკური ეკლესიის ჰეგემონიას. ქალებისთვის აშკარა იყო, რომ ისინი უნდა დაპირისპირებოდნენ არა მხოლოდ მემარჯვენე პოპულიზმს, არამედ მის ულტრაკონსერვატორ მოკავშირეებს და თავად კათოლიკური ეკლესიის პოლიტიკურ ძალას. ამრიგად, *შავი პროტესტი* პოლონეთის ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობების უფრო ფართო კონტექსტში უნდა განვიხილოთ. მხოლოდ ასე შევძლებთ გავიგოთ, რატომ მოხდა მობილიზაცია 2016 წელს და რატომ ასეთი ძალით. 1989 წლის მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში კათოლიკურ ეკლესიას პოლონეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში უპირობოდ პრივილეგირებული ადგილი ეკავა. რელიგია აღიქმებოდა, როგორც 1989 წლის შემდგომი ლიბერალური დემოკრატიის სტაბილიზაციის ძალა; ამბობდნენ, რომ 2003 წელს პოლონეთის ევროკავშირში გაწევრიანება შეიძლება არც არასდროს მომხდარიყო ეპისკოპოსების მხარდაჭერის გარეშე. ამ მხარდაჭერის ფასი 1993 წელს აბორტზე შემოღებული ე.წ. კომპრომისული კანონი იყო, რომელიც, რეალურად, აბორტის ამკრძალავი, ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი კანონია ევროპაში. ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, ათწლეულების განმავლობაში, ამ კანონს იშვიათად აკრიტიკებდნენ მეინსტრიმულ მედიაში, რადგან ეკლესია ჯერ კიდევ ფართოდ ითვლებოდა, როგორც დემოკრატიისა და პლურალიზმის მოკავშირე, პატივსაცემ ინსტიტუტად, რომელსაც უკიდურესი ნაციონალიზმის ბნელი ძალების შეჩერება შეეძლო. აქედან გამომდინარე, მივიღეთ ფემინიზმის მარგინალიზება: ქალების

დუმილი განიხილებოდა, როგორც აუცილებელი ფასი პოლიტიკური ელიტებისა და კათოლიკური ეკლესიის მშვიდობიანი თანაარსებობისთვის. დაახლოებით 2013 წელს ეს ჰარმონია დაირღვა. ანტიევროპული პოპულისტი მემარჯვენეების მხარდაჭერით ეკლესია ღიად გაემიჯნა ლიბერალურ დემოკრატიას. ეს ნაბიჯი დიდწილად დაკავშირებული იყო ქალთა და სექსუალური უმცირესობების უფლებებთან: ეკლესიის მიერ აგორებული, კონსერვატიული ანტიგენდერული კამპანია, რომელმაც პოლონეთში პიკს 2013 წელს მიაღწია, ღიად ანტიევროპული იყო.

ეკლესიის მიერ ლიბერალური დემოკრატიის ღალატს პოლონეთში მრავალი ასპექტი და ეტაპი ჰქონდა, მაგრამ ის ყველაზე უკეთ 2016 წელს გამოვლინდა, როდესაც საეპისკოპოსომ მხარი დაუჭირა „შეაჩერე აბორტის“ კანონს. ამრიგად, შავი პროტესტი ეხებოდა როგორც ქალთა უფლებებს, ასევე უფრო მეტს, ვიდრე გენდერულ თანასწორობას: რაც შესაძლებელი გახდა პოლონურ პოლიტიკასა და საჯარო სივრცეში დიდი გადაჯგუფების გამო. მოძრაობა პოლიტიკური კულტურის ამ ტექტონიკური ცვლილების ნაწილი იყო, ასევე, ქალთა ისტორიაში ისტორიული გარღვევის შემოქმედი. მან პოლონეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალ პოლიტიკურ სუბიექტად გაბრაზებული ქალები შემოიყვანა. ქალებმა უარი თქვეს დაეთმოთ ქალთა უფლებებზე ორიენტირებული დღის წესრიგი. მათ უარი თქვეს შერცხვენაზე, გაჩუმებაზე ან მარგინალიზებაზე, როგორც მათი ოპონენტების (პოპულისტური მემარჯვენეები და კათოლიკე სამღვდელოება), ისე მოკავშირეების მხრიდან (ანტი-PiS წინააღმდეგობის უფრო ფართო მოძრაობა).

პოლონეთის შემთხვევა ეჭვქვეშ აყენებს მრავალი მკვლევრის მიერ გაზიარებულ შეხედულებას, რომ ანტიგენდერული მობილიზაცია თანამედროვე ფემინიზმის წინააღმდეგ უკუქმედების ფორმა ან კონტრმოძრაობაა (Corredor 2019; Krizsán and Roggeband 2019). სინამდვილეში, ეს არის ფემინისტური აქტივიზმის ახალი ტალღა, რომელიც შეიძლება განიხილებოდეს, როგორც რეაქცია ულტრაკონსერვატიზმისა და მემარჯვენე პოპულიზმის აღზევებაზე. ანტიგენდერიზმის კონცეპტუალიზება, როგორც საპასუხო რეაქცია ან კონტრმოძრაობა, უგულებელყოფს რეგიონალურ განსხვავებებს ფემინიზმის განვითარებასა და ინსტიტუციონალიზაციაში. როგორც წინა თავებში ავღნიშნეთ, ანტიგენდერული მოძრაობები, როგორც ჩანს, ყველაზე გავლენიანი პოლონეთის მსგავს ქვეყნებშია, სადაც ფემინიზმი ნაკლებად ძლიერია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი შეიძლება ამტკიცებდეს, რომ ეს უბრალოდ პოსტსოციალისტური ქვეყნების თავისებურებაზე და გენდერული თანასწორობის საკითხებში დასავლეთთან „ჩამორჩენაზე“ მეტყველებს, ჩვენ გთავაზობთ სხვა ახსნას,

რომელიც ნეოლიბერალიზმის სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებთანაა დაკავშირებული. ამ წიგნში ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ანტიგენდერიზმი არის ნეოლიბერალიზმის მემარჯვენე კრიტიკა, ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ულტრაკონსერვატიული გავლენა განსაკუთრებით ძლიერი იყო აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც 1990-იანი წლებში საბაზრო დოგმატი და ინდივიდუალიზმი თავს მოხვეული იყო, როგორც მოდერნიზაციის ერთადერთი გზა (Ost 2005; Dunn 2004). ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა, და რუსეთი, როგორც კონსერვატიული ოჯახის ღირებულებების ბასტიონები, ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ულტრაკონსერვატიულ წარმოსახვაში (მაგ. ბლუმი და ვარგა 2018). ეს თავი განიხილავს ფემინისტურ რეაქციას ამ მოვლენებზე და აჩვენებს, თუ როგორ დაუპირისპირდა ქალთა მობილიზაციის ახალი ტალღა მემარჯვენე პოპულიზმს, და აცხადებდა, რომ სწორედ ის წარმოადგენდა „ხალხს“, ხოლო ანტიგენდერულ აქტორებს „ელიტებად“ წარმოაჩენდა. ამრიგად, ჩვენ ვეწინააღმდეგებით მოძრაობა-კონტრმოძრაობის ჩარჩოს, როგორც გენდერული თანასწორობის ირგვლივ გლობალური ბრძოლის ახსნის მოდელს და ვემხრობით იმ მკვლევარებს, რომლებიც ამ მოვლენებს პოპულისტური მომენტის ჩარჩოში უკეთებენ ინტერპრეტაციას (მაგ. Biglieri 2020; Gunnarsson Payne 2020b; Roth 2020).

ჩვენ არ ვხედავთ ფემინიზმს და ანტიგენდერულ მოძრაობას დროით მიმდევრობაში, არამედ როგორც კონკურენტ ძალებს, რომლებიც რეაგირებენ როგორც ერთმანეთზე, ისე ნეოლიბერალურ მდგომარეობაზე. თუმცა, თუ მაინცდამაინც ქრონოლოგიას შემოვიტანთ, გავრისკავთ იმის მტკიცებას, რომ ფემინისტური აქტივიზმის ახალი ტალღა, რომელმაც დაახლოებით 2016 წელს იფეთქა ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა არგენტინა, იტალია, პოლონეთი, ესპანეთი და აშშ, რეაქცია იყო წინამდებარე წიგნში განხილულ ულტრაკონსერვატიულ და მემარჯვენე პოპულიზმის აღზევებაზე: სხვადასხვანაირად გამოვლენილი ანტიგენდერიზმი და პოლიტიკური ლიდერების მიზოგინია. მასობრივი პროტესტი ამ ქვეყნებში ფაქტობრივად მემარჯვენეების პროგრესის შეჩერების მცდელობა იყო. შტატებში, 2017 წლის ვაშინგტონის მარში დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ გაჩენილი შიშითა და ბრაზით იყო განპირობებული (Boothroyd et al. 2017; Gökarıksel and Smith 2017; Jamison 2017; Moss and Maddrell 2017; Roth 2020). ანალოგიურად, ბრაზილიაში ბოლო ორი წლის განმავლობაში ათასობით ადამიანი აგრძელებდა პროტესტს პოპულისტი პრეზიდენტის ჟაირ ბოლსონაროს წინააღმდეგ, რომელსაც ქალი აქტივისტები რასისტად, ჰომოფობად და მკვიდრი მოსახლეობის ხალხის უფლებებისთვის საფრთხედ განიხილავდნენ (Snyder and Wolff 2019). პოლონეთში ქალები აბორტის

ხელმისაწვდომობაზე დამატებითი შეზღუდვების გასაპროტესტებლად გამოვიდნენ ქუჩებში (Gober and Struzik 2018; Korolczuk et al. 2019; Majewska 2018). ბოლო სამი წლის განმავლობაში არგენტინაში, იტალიასა და ესპანეთში ფემინისტური მობილიზაციის უშუალო მიზეზი ფემიციდისა და სექსუალური ძალადობის შემზარავი შემთხვევები იყო, რომლებსაც სახელმწიფო ინსტიტუციები ლმობიერად ეპყრობოდა (Barros and Martinez 2020; Biglieri 2020; Campillo 2019; Chirioni 2019; Di Marco alíaet 2020; 2018; Martinez 2019ა; Sutton and Borland 2019; Szczepańska 2019). აქტივისტები გამოეხმაურნენ ულტრაკონსერვატიული ორგანიზაციებისა და მემარჯვენე პოპულისტების კონკრეტულ მცდელობებსა და ინიციატივებს, მაგ. იტალიურმა მოძრაობამ Non Una di Meno-მ მოაწყო მთელი რიგი საჯარო შეხვედრები და დებატები, ისევე როგორც მასობრივი დემონსტრაცია 2019 წელს ვერონაში ორგანიზებული ოჯახების მსოფლიო კონგრესის წინააღმდეგ. მედიაში გაგზავნილი NUM-ის ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ ფემინისტები გეგმავენ:

> დაიკავონ ქალაქი ბრაზით, მონდომებით და ინტერესით [რადგან]... მიუხედავად იმისა, რომ რიტორიკული დისკურსი თითქოს ადამიანის სიცოცხლის ღირებულების დაცვისკენაა მიმართული, აბორტის უფლებებზე თავდასხმა და ოჯახის ტრადიციული იდეის ზეიმი, რასაც პატრიარქატის ეს „ბატონები“ გვთავაზობენ, მჭიდროდაა დაკავშირებული ძალადობასა და ჩაგვრაზე დაფუძნებულ მთელ სოციალურ სისტემასთან. „ბუნებრივი ოჯახის“ დაცვის მიღმა ძალადობა იმალება. (Non Una di Meno 2019b, ჩვენი თარგმანი)

თითოეულ ამ შემთხვევაში, ქალთა უფლებებზე თავდასხმა მემარჯვენე პოპულისტებმა, ულტრაკონსერვატიულ აქტორებთან თანამშრომლობით, რელიგიურ ხელისუფლებებთან და ტრანსნაციონალურ ანტი-გენდერულ ქსელებთან თანამშრომლობით განახორციელეს. ფემინისტური მოძრაობები, რომლებიც ამ მოვლენებთან დაკავშირებით გაჩნდა, მიდრეკილნი არიან ინტერსექციულობისკენ, ისინი ძირითადად ახალგაზრდა ქალებისგან შედგებიან და ჰორიზონტალურ ხასიათს ატარებენ. ისინი ხშირად ლოკალურად იყვნენ ორგანიზებული, მაკავშირებელი მოქმედების ლოგიკით შთაგონებული და სოციალური მედიით მხარდაჭერილი (Korolczuk 2016). ფემინისტური ორგანიზების ეს ახალი ტალღა ასევე საოცრად ყურადღებიანი იყო სხვადასხვა სოციალური ჯგუფის, მათ შორის მუშათა კლასის ქალების, ლგბტ თემისა და ადგილობრივი მოსახლეობის წუხილების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოძრაობები ლოკალურ კონტექსტში იყო ძირგადგმული, მათ სწრაფად გააცნობიერეს ერთმანეთის არსებობა და სულ უფრო განავითარეს

ტრანსნაციონალური ქსელები, გაიზიარეს საერთო მიზნებისა და სოლიდარობის განცდა.

ახალი ტალღის მონაწილე მოძრაობები ატარებენ თვისებებს, რომლებიც არ ემთხვევა ფემინისტური პროგრესის ნაცნობ ნარატივს დასავლურ დემოკრატიებში, სადაც ქალთა მოძრაობები თეორიული თვალსაზრისით სულ უფრო დახვეწილი ხდებოდა, მაგრამ ასევე ელიტარული და ბიუროკრატიზებული, ხოლო ფემინისტურმა ღირებულებებმა თანდათან ფეხი მოიკიდა სახელმწიფო საჯარო პოლიტიკებში (მაგ. Hemmings 2011). ახალი ფემინისტური მობილიზაცია ხასიათდება ემოციური ინტენსივობით და პრეტენზიით, წარმოადგენდეს ხალხს და არა კონკრეტულ მარგინალიზებულ ჯგუფს. უნდობლობა და სახელმწიფო ინსტიტუტებთან თანამშრომლობაზე უარის თქმა სახასიათოა ამ ახალი მასობრივი მოძრაობებისთვის, თუმცა კონტექსტიდან გამომდინარე, ზოგიერთი ჯგუფი და ქსელი პოლიტიკურ აქტორებთანაც თანამშრომლობს.

ავტორები წიგნისა *ფემინიზმი 99%-ისთვის: მანიფესტი*, აყალიბებენ ამ ახალი ტენდენციის განმარტებას იმ დაშვებაზე დაყრდნობით, რომ მომავლის ფემინიზმი უნდა იყოს არა მხოლოდ ანტინეოლიბერალური, არამედ მთლიანად ანტიკაპიტალისტური:

> ის რაშიც ჩვენ ვცხოვრობთ მთლიანი საზოგადოების კრიზისია. არავითარ შემთხვევაში ის არ შემოიფარგლება ფინანსური ასპექტით, ეს არის ერთდროულად ეკონომიკის, ეკოლოგიის, პოლიტიკისა და „ზრუნვის“ კრიზისი. სოციალური ორგანიზაციის მთელი ფორმის საერთო კრიზისი, ეს არის კაპიტალიზმის კრიზისი — და განსაკუთრებით კაპიტალიზმის სასტიკად მტაცებლური ფორმისა, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ: გლობალიზებული, ფინანსიალიზებული, ნეოლიბერალური. (Arruzza et al. 2019: 16)

ახალი ფემინისტი აქტორების მიერ გაფიცვის პროტესტის ფორმად მიღებაზე დაყრდნობით, ჩინზა არუზა, ტიტი ბჰატაჩარია და ნენსი ფრეიზერი ამტკიცებენ, რომ მოძრაობა არსებითად ანტიკაპიტალისტურია და რომ მან ჩაანაცვლა ის, რასაც ისინი ხედავენ, როგორც შლის პროცესში მყოფ ლიბერალურ ფემინისტურ ჰეგემონიად (2019: 82). მაგრამ ეს მართლაც ასეა? რამდენადაც ჩვენც ვეთანხმებით ავტორთა დიაგნოზს მსოფლიოს მდგომარეობის შესახებ, ე.ი. მათ მემარცხენე ფემინისტურ მსოფლმხედველობას, ჩვენ ბოლომდე არ ვართ დარწმუნებული, რომ ასეთი

შეხედულება  ახალი, მასობრივი საპროტესტო ტალღის მონაწილეთა უმეტესობას გაზიარებული აქვს. ეკონომიკური ექსპლუატაციის, ზრუნვის კრიზისისა და პრეკარიულობის პრობლემებს მართლაც ხშირად ახმოვანებდნენ აქტივისტები, მაგრამ ეს სულაც არ იყო ჩამოყალიბებული ღიად ანტიკაპიტალისტური ტერმინებით. იტალიური მოძრაობის Non Una di Meno-ს პროგრამული დოკუმენტები მართლაც აკეთებს ღიად რადიკალურ მემარცხენე განცხადებებს: მოძრაობა აცხადებს, რომ არის „ტრანსფემინისტური, ინტერსექციული, ანტირასისტული, ანტიფაშისტური და ანტიკაპიტალისტური[…] რომელიც იბრძვის საზოგადოების რადიკალური გარდაქმინისთვის“ (Non Una di Meno 2019a). ტენდენცია მემარცხენე ინტერსექციური ორიენტაციისკენ ასევე აშკარაა ლათინურ ამერიკასა და ესპანეთში, მაგრამ იქაც კი ზოგიერთი ფემინისტი სკეპტიკურად უყურებს მოძრაობის პოზიციას კაპიტალიზმთან მიმართებით. მანიფესტის თანაავტორებთან საუბარში არგენტინელი აქტივისტი პაულა ვალერა განმარტავს, რომ „ნიუნამენოსი ჯერ კიდევ არ აყენებს თავს მკაფიო ანტინეოლიბერალური დღის წესრიგის მქონედ; მას არ აქვს ანტიკაპიტალისტური დისკურსი“ (Arruzza and Bhattacharaya 2019). ასევე საკამათო რჩება, რამდენად არის ფემინიზმის ახალი ტალღა ანტიკაპიტალისტური ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა პოლონეთი.  ბევრ კონტექსტში ქალთა პროტესტმა მემარჯვენე პოპულიზმთან სტრატეგიულ ალიანსში შესული რელიგიური ფუნდამენტალიზმის საპასუხოდ იფეთქა, სადაც ეს ძალები ცდილობენ თავიანთი თავი ხალხის დამცველებად წარმოადგინონ გლობალური კაპიტალიზმის გადამეტებების [excesses] წინაშე. მათ ამ პრეტენზიებზე საპასუხოდ, ფემინისტები ხშირად ხალხის პოზიციიდან ლაპარაკობენ, მაგრამ აშკარა, ანტიკაპიტალისტური არგუმენტები გამონაკლისია და არა წესი.

რიგი მკვლევარები აღნიშნავენ, რომ თანამედროვე ფემინიზმი ერთდროულად უპირისპირდება მემარჯვენე პოპულიზმს და სათავისოდ იყენებს მის მაჟორიტარულობასა და ანტიელიტისტურ დისკურსს (Emejulu 2017; Gunnarsson Payne 2020a, 2020b; Hall 2019; Snochowska-Gonzalez and Ramme20). ჯულია როტი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ „ახალი ფემინისტური მოძრაობებისთვის საერთოა ძლიერი წინააღმდეგობა იმ მეთოდებთან, რომლითაც გენდერი მემარჯვენეების მობილიზების მთავარი პლატფორმა გახდა, რომლის დანახვა გენდერირების მემარჯვენე შაბლონებში შეიძლება“ (2020: 252). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი ფემინიზმი რეაგირებს არა მხოლოდ გენდერულ სფეროში მემარჯვენე პოპულისტების მიერ შემოთავაზებულ კონკრეტულ, სამართლებრივ ცვლილებებზე, არამედ კულტურული ცვლილების უფრო ფართო ტენდენციებზე, მათ შორის საჯარო სფეროს

ხელახალ მასკულინიზებაზე, შიშის გენდერიზებასა და ფემონაციონალისტურ დისკურსებზე.

ჩვენმა კვლევამ და აქტივისტურმა გამოცდილებამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ შავი პროტესტის სახელით ცნობილი მობილიზება, მართლაც, შეიძლება ჩაითვალოს „პოპულისტურ ფემინიზმად“, მუფის მიერ (Mouffe 2018) თეორეტიზებული „მემარცხენე პოპულიზმის“ გენდერიზებულ ვარიანტად. ჩვენ არ ვართ პირველი, ვინც ასეთი კონცეპტუალური ჩარჩო წამოაყენა: არსებული კვლევები აჩვენებს, რომ შავი პროტესტის მონაწილეთა თვითაღქმა ეფუძნება იდეას, რომ ისინი „ჩვეულებრივი ქალები“ იყვნენ — ხალხი, რომელიც აჯანყდა ამპარტავანი პატრიარქალური ელიტის წინააღმდეგ (Gunnarsson Payne 2020a; Snochowska-Gonzalez and Ramme 2018). სხვა კონტექსტებში, მათ შორის არგენტინაში, იტალიასა და ესპანეთში, ახალი კვლევები აჩვენებს, რომ ფემინისტური დღის წესრიგის მემარცხენე პოპულისტური ტერმინებით ჩამოყალიბების ტენდენცია მთელ მსოფლიოში იყო (Biglieri 2020; Di Marco 2020; Emejulu 2017). ეს დასკვნები ეხმიანება შანტალ მუფის (2018) თეზას, რომ მემარჯვენე პოპულიზმისადმი ეფექტური წინააღმდეგობის ერთადერთი გზა მემარცხენე-პოპულისტური დისკურსის განვითარებაა. მსგავსად, გრასიელა დი მარკო და სხვა ავტორები Baltic Wolds-ის სპეციალურ ნომერში, სახელწოდებით „ქალები და ხალხი“ (2020) კონცეპტუალურად აყალიბებენ თანამედროვე ქალთა მოძრაობების სტრატეგიას მემარცხენე პოპულიზმის ჩარჩოში, რომელიც უნდა დაუპირისპირდეს ნაციონალისტურ, მიზოგინურ და ქსენოფობიურ წარმოდგენებს პოლიტიკური საზოგადოების შესახებ. ახალი “სახალხო ფემინიზმი“ არ არის დახვეწილი ინტელექტუალური პროექტი, რომელიც ჩართულია პატრიარქალური მითების დეკონსტრუქციაში და საკუთარ რთულ იდენტობაში სახლობს. პირიქით, ის ეწევა მძლავრი ემოციების კოლექტიურ გამოხატვას, ინკლუზიური სიმბოლოების და განსხეულებული [embodied] ცოდნის წარმოებას მემარჯვენე პოპულისტური ძალების მიერ აღებული „ხალხის“ ეთნო-ნაციონალისტური განმარტების წინააღმდეგ. ამ თავის დასკვნაში ჩვენ ამ მტკიცებას განვიხილავთ, გამოვყოფთ რა მის თეორიულ საფუძვლებსა და შესაძლო შედეგებს.

## შავი პროტესტების ამბავი: მობილიზება ულტრაკონსერვატიული დღის წესრიგის წინააღმდეგ პოლონეთში

შავი პროტესტების ისტორია დაიწყო იმით, რომ მოქალაქეთა ორი ჯგუფი სამოქალაქო ინიციატივის მეშვეობით ცდილობდა აბორტის არსებული კანონების შეცვლას.

პოლონეთში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს საპარლამენტო განხილვისთვის შეუძლიათ კანონპროექტის წარდგენა, მაგრამ კანონი მოითხოვს, რომ წარმდგენი ჯგუფი ჯერ დარეგისტრირდეს და შემდეგ სამი თვის განმავლობაში შეაგროვოს 100 000 ხელმოწერა. 2016 წლის 14 მარტს საკანონმდებლო ინიციატივა „შეაჩერე აბორტი“ პოლონეთის პარლამენტში დარეგისტრირდა, რომელსაც ორდო იურის ინსტიტუტი აგრესიულ ლობირებას უწევდა.

კანონპროექტის მიხედვით აბორტი ყველა შემთხვევაში უნდა აკრძალულიყო, მათ შორის ნაყოფის სერიოზული დაზიანების დროსაც, და აბორტის გამკეთებელი ქალებისთვის 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. ნაყოფის დაზიანება ერთ-ერთია იმ სამი პირობიდან, რომლითაც აბორტი ლეგალურია არსებული კანონმდებლობის მიხედვით და ის პოლონეთში ლეგალური აბორტების უმრავლესობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. ამრიგად, შემოთავაზებული კანონპროექტი სამართლიანად იქნა აღქმული, როგორც მცდელობა ქვეყანაში მომხდარიყო აბორტის სრული ფაქტობრივი აკრძალვა. კანონის მიღების შემთხვევაში, ქალები იძულებული გახდებოდნენ გაეჩინათ არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, არამედ ჩვილები, რომლებიც დაბადებიდან მალევე მოკვდებოდნენ. გარდა ამისა, არსებობდა საფუძვლიანი მიზეზი იმის დასაჯერებლად, რომ ექიმები აბორტის ხელშეწყობისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის შიშის გამო შეწყვეტდნენ პრენატალური ტესტირების შეთავაზებას და რომ უნებლიე მუცლის მოშლას მოჰყვებოდა სისხლისსამართლებრივი გამოძიება. ეს რადიკალური იყო პოლონური სტანდარტებითაც კი. 2016 წლამდე არც მმართველი პარტია „კანონი და სამართლიანობა“ და არც პოლონეთის ეპისკოპოსთა კონფერენცია არ უჭერდა მხარს ქალების აბორტისთვის ციხეში ჩასმის იდეას. თუმცა, მარტის ბოლო დღეებში, კათოლიკური ეკლესიის საეპისკოპოსომ გააკეთა ოფიციალური განცხადება ინიციატივის მხარდასაჭერად და პრემიერ-მინისტრმა ბეატა შიდლომ პირადი მხარდაჭერა გამოუცხადა შემოთავაზებულ კანონპროექტს. „შეაჩერე აბორტის“ დაკანობების საფრთხე ძალიან რეალური იყო.

ფემინისტურმა ჯგუფებმა განგაში გამოაცხადეს და კონტრმობილიზაცია 2016 წლის 1 აპრილს Facebook-ზე ჯგუფის Gals4Gals-ის (Dziewuchy Dziewuchom) გამოჩენით დაიწყო. პროფილმა რამდენიმე საათში ათასობით წევრი შეკრიბა, რასაც მომდევნო რამდენიმე დღეში ათობით ადგილობრივი ჯგუფის გაჩენა მოჰყვა. 3 აპრილს მემარცხენე პარტიამ „ერთად“ (რაზემ) მოაწყო პირველი დემონსტრაცია ლოზუნგით

„არა ქალების წამებას“. მონაწილეები შეიარაღებულნი იყვნენ მავთულის საკიდებით — საერთაშორისო სიმბოლო, რომელიც იატაკქვეშა აბორტების საშინელებებს მოგვაგონებს. სოციალურ მედიაში გავრცელდა ვიდეო, სადაც ნაჩვენებია ქალები, რომლებიც დემონსტრაციულად ტოვებენ საეკლესიო მსახურებას — ისინი ტოვებდნენ მაშინ როცა ეპისკოპოსების განცხადებას მთელი ქვეყნის სამრევლოებში კითხულობდნენ. სხვადასხვა ჯგუფებმა და ინდივიდებმა დაიწყეს მცირე კრეატიული აქციების ინიცირება, რაც მოიცავდა პრემიერის ოფისში ამანათებით მავთულის საკიდების გაგზავნას და მის ფეისბუქის პროფილზე ქალთა მენსტრუაციის ციკლის შესახებ დეტალური ინფორმაციის გამოქვეყნებას ჰეშთეგით #რთულიპერიოდი (#TrudnyOkres), როგორც ირონიული კომენტარი მთავრობის მცდელობებზე ქალების სხეულები გაეკონტროლებინათ. ბევრი ეს ღონისძიება, რომელიც ერდროულად მიმდინარეობდა, ფემინისტმა აქტივისტებმა წამოიწყეს, მაგრამ ზოგიერთი წახალისებული იყო იმ ადამიანების მიერ, რომლებსაც არ ჰქონდათ ასეთი წინარე გამოცდილება. სამმა ყოფილმა, პირველმა ქალბატონმაც გამოაცხადა წინააღმდეგობა შემოთავაზებულ კანონთან და მის ნაცვლად მხარი არსებულს დაუჭირა.

13 აპრილს აქტივისტთა ჯგუფმა, მემარცხენე პოლიტიკოსის ბარბარა ნოვაცკას ხელმძღვანელობით დაარეგისტრირა საკანონმდებლო ინიციატივა "გადავარჩინოთ ქალები", რომელიც მიზნად ისახავდა აბორტის ლეგალიზებას და სექსუალური განათლებისა და კონტრაცეფციის ხელმისაწვდომობის გარანტიას. ამან კონფლიქტის ახალი ეტაპი გახსნა: ორი დაპირისპირებული კომიტეტი ახლა ერთდროულად აგროვებდა ხელმოწერებს თავიანთი კანონპროექტისთვის. საკანონმდებლო ინიციატივამ „შეაჩერე აბორტი“ ივლისში 400 000 ხელმოწერა შეიტანა, ხოლო აგვისტოში ინიციატივამ „გადაარჩინე ქალები“ 215 000. განსხვავება აიხსნება იმით, რომ არჩევანის საწინააღმდეგო ჯგუფებმა ხელმოწერები შეაგროვეს ეკლესიებში, სამღვდელოების აქტიური მხარდაჭერით (და ხშირად ზეწოლით). პარლამენტის რეაქცია ორ ინიციატივაზე პოლონეთში ეკლესიის პოლიტიკურ ძალაზე მეტყველებს. 23 სექტემბერს ინიციატივა „გადავარჩინოთ ქალები“ განხილვის გარეშე იქნა უარყოფილი, ხოლო „შეაჩერე აბორტი“ შემდგომი მოსმენებისთვის კომიტეტებში გაიგზავნა. მეორე დღეს პოლონეთის ყველაზე ცნობილმა მსახიობმა კრისტინა ჯანდამ დაწერა ფეისბუქის პოსტი, სადაც საზოგადოებას 1975 წლის ისლანდიელ ქალთა გაფიცვა შეახსენა და მობილიზაციისკენ მოუწოდა. ჰეშთეგებმა #czarnyprotest და #BlackProtest მთელ მობილიზაციას პოპულარული სახელი შესძინა. ვროცლავის მიტინგის დროს სიტყვით გამომსვლელმა, სახელად მარტა ლემპარტმა, 3 ოქტომბერს ქალთა ეროვნული გაფიცვისკენ მოწოდება გააკეთა. ნატალია პანჩევიჩთან ერთად

ლემპარტმა შექმნა ფეისბუქის გვერდი „პოლონელ ქალთა გაფიცვა“, რომელმაც ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მაკავშირებელი ცენტრის ფუნქცია ითავა. უფრო მეტიც, ეს საიტი ცნობილი გახდა, როგორც მოძრაობის „დახმარების მაგიდა“ [helpdesk] — მედიისთვის პირველი საკონტაქტო არხი და მოდელი რეგიონული ჯგუფებისთვის (Gober and Struzik 2018: 133).

3 ოქტომბრის ქალთა გაფიცვა უდავოდ იყო შავი პროტესტების ყველაზე დიდი წარმატება და ყველაზე დასამახსოვრებელი მოვლენა. მისი საკულტო სტატუსი ნაწილობრივ განპირობებულია იმ ფოტო მასალის სილამაზით, რომელმაც მალევე სოციალური მედია წალეკა: ზედხედით გადაღებული ქოლგების ზღვა და ათასობით შავებში ჩაცმული, გალუმპული და შესამჩნევად აღტაცებული ქალი. მონაწილეთა შავ ფერში შემოსვა მიზანმიმართული აქტი იყო, როგორც გლოვის ნიშანი ქალთა რეპროდუქციული უფლებებისთვის, თუმცა არსებობს დამატებითი სიმბოლური განზომილება, რომელზე შეჩერებაც ღირს: შავი პროტესტი 1861 წელს ანტირუსული დემონსტრაციების დროს შავებში ჩაცმული პოლონელი ქალების სანახაობას მოგვაგონებდა (იხ. Graff 2019: 485; Kowalczyk 2018: 14). ქოლგა საპროტესტო აქციების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სიმბოლო გახდა და მონაწილეთა შავი ტანსაცმლის მსგავსად, მას დამატებით სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდა. პოლონეთის ქალთა ისტორიის ერთ-ერთი მთავარი მითი — რომელსაც ისტორიკოსები ეჭვქვეშ აყენებენ, თუმცა კოლექტიურ წარმოსახვაში ღრმადაა გამჯდარი — არის ის, რომ 1918 წლის ნოემბერში სუფრაჟისტთა ჯგუფი შეიკრიბა სახელმწიფოს მეთაურის, იოზეფ პილსუდსკის ვილასთან და (გადმოცემის თანახმად) მის ფანჯრებზე ქოლგებით დაუკაკუნეს, რათა მისთვის შეეხსენებინათ ახალ რესპუბლიკაში ქალებისთვის ხმის მიცემის უფლების მინიჭების აუცილებლობა. წვიმის წყალობით, სიმბოლო ხელახლა გაცოცხლდა და მალევე მოძრაობის იკონოგრაფიისა და დისკურსის არსებითი ნაწილი გახდა (პოპულარული სლოგანით „ჩვენ არ დავკეცავთ ჩვენს ქოლგებს“).

ვარშავის მიტინგზე 30 000-ზე მეტი ადამიანი შეიკრიბა, მაგრამ ვარშავა იმ დღეს მომხდარის მხოლოდ მცირე ნაწილი იყო. დემონსტრაცია გაიმართა 150 ქალაქში, ზოგიერთს 10 000-ზე მეტი მონაწილე დაესწრო. სოლიდარობის ღონისძიებები გაიმართა ევროპის 29 ქვეყნის 49 ქალაქში და სხვაგან (Gober and Struzik 2018: 137). პოლონეთის ისტორიაში პირველად, ქალთა დემონსტრაციები პატარა ქალაქებშიც გაიმართა, სადაც საპროტესტო აქციაზე ხილვას შეიძლება მყისიერი შედეგები მოჰყვეს სამსახურში და სახლში. მთელ პოლონეთში ქალები არ გამოცხადდნენ სამსახურში

(უმეტესად დამსაქმებლის თანხმობით, მაგრამ რიგ შემთხვევებში სერიოზული რისკით) და სანაცვლოდ ურიცხვ აქციებს შეუერთდნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ათასობით სხვა სამსახურში შავებით წავიდა.

გაფიცვიდან ერთი თვის შემდეგ ჩატარებული გამოკითხვა მოწმობს პროტესტის შთამბეჭდავ რეზონანსსა და პოპულარობას: მოსახლეობის 90%-მა იცოდა გაფიცვის შესახებ; ინტერესი და მხარდაჭერა გამოაცხადა ქალების 64%-მა და კაცების 52%-მა; ქალების 17%-მა და კაცების 6%-მა თქვა, რომ 3 ოქტომბერს შავებში იყო ჩაცმული მხარდაჭერის გამოსახატავად; ქალების 4%-მა განაცხადა, რომ ისინი პირადად მონაწილეობდნენ დემონსტრაციებში (CBOS 2016). სხვა გამოკითხვის თანახმად, 2016 წელს 28 წლის განმავლობაში სახალხო საპროტესტო აქციებში მონაწილეობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა (Kowalska and Nawojski 2019: 53). გაფიცვა წარმატებული იყო პოლიტიკურადაც: კანონი „შეაჩერე აბორტი“ ამოღებულ იქნა საპარლამენტო განხილვიდან. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ‘კანონისა და სამართლიანობის’ მთავრობამ საზოგადოების ზეწოლის ქვეშ უკან დაიხია. ეკლესიამაც საბოლოოდ ინიციატივის მხარდაჭერა შეწყვიტა.

‘შავმა ორშაბათმა’ ორგანიზატორებსა და მონაწილეებს მოძრაობის ძალის თავბრუდამხვევი განცდა მისცა. ეს იყო მრავალი ინიციატივის საწყისი წერტილი, რომელსაც შემდეგ დიდი მობილიზაცია მოჰყვა – პასუხი აბორტის საწინააღმდეგო ახალ საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომელიც ცნობილი გახდა როგორც ‘შავი პარასკევი’ (2018 წლის 23 მარტი). ორ მასობრივ პროტესტს შორის შუალედში, პოლიტიკურად დაპირისპირებულ ბანაკებს შორის, სტრატეგიების შემუშავების თვალსაზრისით დიდი აქტივობა შეინიშნებოდა. მთავრობამ შემოიღო სპეციალური ფინანსური დახმარება შშმ ბავშვების მშობელი ქალებისათვის, გადაუდებელი კონტრაცეფცია ფაქტობრივად აიკრძალა და გატარდა უხეში რეპრესიული ზომები (მათ შორის პოლიციის რეიდები) ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ. იმავდროულად, ქალები აგრძელებდნენ ორგანიზებას: იყო პროტესტი გადაუდებელი კონტრაცეფციის აკრძალვის წინააღმდეგ და მსვლელობები ქალთა დღეს (ქალთა საერთაშორისო გაფიცვისადმი სოლიდარობის ნიშნად) და 2017 წლის დედის დღეს. შეიქმნა ექიმების ქსელი, რომელიც რჩევებს აძლევდა კრიზისში მყოფ ქალებს (Lekarze Kobietom, Doctors4Women). 2017 წლის ზაფხულში, ქალმა აქტივისტებმა მთავარი როლი ითამაშეს ქუჩის საპროტესტო აქციებში დამოუკიდებელი სასამართლოების დასაცავად და — მხევლის ფორმაში ჩაცმულებმა

(მარგარეტ ეტვუდის კლასიკურ რომანზე დაფუძნებული) — გააპროტესტეს დონალდ ტრამპის ვიზიტი პოლონეთში.

დროთა განმავლობაში ქალთა პროტესტი მნიშვნელოვანად რადიკალიზდა. 2017 წლის მარტში, მას შემდეგ რაც ულტრაკონსერვატიულმა ძალებმა აბორტის კიდევ ერთი, სრულად ამკრძალავი კანონპროექტი წამოაყენეს, მომიტინგეები მთელი პოლონეთიდან ჩადიოდნენ ვარშავაში და იყენებდნენ კვაზი-მილიტარისტულ რიტორიკას. მთავარი სლოგანი იყო „Idziemy na Nowogrodzką“ („მსვლელობა ნოვოგრომკას ქუჩის ასაღებად“ – სადაც ‘კანონისა და სამართლიანობის’ შტაბბინა მდებარეობს). ეს იყო პოლონეთის ისტორიაში ქალთა უფლებების დასაცავად ყველაზე დიდი შეკრება — ადამიანთა რაოდენობა 50,000-დან 90,000-მდე მერყეობდა. ბანერებმა და გამოსვლებმა ბრაზის ახალი მასშტაბი გამოავლინა, რომელიც კონკრეტულად კათოლიკურ ეკლესიაზე იყო მიმართული: „მე ვწყვეტ რელიგიას და არა რელიგია წყვეტს ჩემს ნაცვლად“; "ჩემი საშვილოსნო არ არის შენი სამლოცველო"; „არჩევანის თავისუფლება და არა ტერორი“; "შევეცი კურიას." ზოგიერთი ბანერი ბოლოდროინდელ საეკლესიო პედოფილიის სკანდალებზე მიუთითებდა: „ჰეი მღვდელო! მე არ ვუყურებ შენს კაბას“; "წადი ითამაშე შენივე ორგანოებით“. კიდევ ერთი ფავორიტი, რომელიც ამ მარშზე ბევრ სხვას შორის გამოჩნდა, შემდეგნაირად იკითხებოდა: "ვფიქრობ, ვგრძნობ, ვწყვეტ". როგორც გასული წლის შავი ორშაბათის შემთხვევაში, პროტესტის შედეგი დროებითი გამარჯვება იყო. ივნისში რეაქციული კანონი უკან გაიწვიეს, მაგრამ მაშინვე ყველასთვის ცხადი იყო და ასე რჩება წერის მომენტშიც, რომ მისი მომხრეები განაახლებენ თავიანთ მცდელობებს. სლოგანი „ჩვენ არ ვკეცავთ ქოლგებს“ კვლავ ვრცელდება სოციალურ ქსელებში, რაც აშკარა ნიშანია იმისა, რომ ბრძოლა შორსაა დასრულებისგან.

**ლოკალური ბრძოლა გლობალურ კონტექსტში**

პოლონეთის საკითხი უფრო ფართო ტრანსნაციონალურ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. ბოლოს და ბოლოს, კამპანია „შეაჩერე აბორტი“ — ანტიგენდერული კამპანიის მეორე ეტაპი პოლონეთში — თავად ფართო ძალისხმევის ნაწილს წარმოადგენდა მთელ მსოფლიოში ქალთა უფლებების შესაზღუდად. გლობალური ანტიგენდერული ქსელებისთვის, პოლონეთი — ძირითადად კათოლიკური ქვეყანა, რომელსაც მემარჯვენე პოპულისტები მართავენ — პერსპექტიული საცდელი ტერიტორია იყო უკიდურესი ზომების გასატარებლად იმის წინააღმდეგ, რასაც ისინი "სიკვდილის კულტურას" უწოდებდნენ, ხოლო *ორდო იურის ინსტიტუტი*

მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდა, რომელიც ადგილობრივ და ტრანსნაციონალურ ინიციატივებს აკავშირებდა. გლობალურ კონტექსტს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ბრძოლის ფემინისტურ ფლანგზეც. საერთაშორისო თანამშრომლობამ აქტივისტებს საშუალება მისცა თავიანთი ბრძოლა განეხილათ დემოკრატიის, თანასწორობისა და სამართლიანობის დასაცავი, უფრო ფართო ძალისხმევის ნაწილად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანი ღონისძიებები რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის პოლონეთში, იტალიასა და ესპანეთში, „გაფიცვის“ დროშის ქვეშ ჩატარდა. პოლონეთში გაფიცვის, როგორც საპროტესტო ფორმისა და მოძრაობის ყოვლისმომცველი სლოგანის არჩევა, შთაგონებული იყო 1975 წლის 24 ოქტომბრის ისლანდიის ქალთა გაფიცვით. ღონისძიება მეორე ტალღის ფემინიზმის ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი ინიციატივა იყო: ქვეყნის ქალი მოსახლეობის 90%-მდე იმ დღეს არ გამოცხადდა სამუშაო ადგილზე და არ შეასრულა არც ერთი საყოფაცხოვრებო საქმე, რათა ეჩვენებინათ ქალის შრომის ნამდვილი და შეუცვლელი ღირებულება. ეს გვიჩვენებს, რომ პოლონეთის ქალთა გაფიცვა, ავთენტური ჰორიზონტალური მოძრაობა იყო გარე ინსტიტუციური დაფინანსების გარეშე, რომელიც კარგად აცნობიერებდა ბრძოლის ფართო კონტექსტს. თუმცა, პოლონელი ფემინისტებისთვის სიტყვა გაფიცვის გამოყენება ასევე ნიშნავდა კავშირს სოლიდარობის მოძრაობის ბრძოლასთან კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ (Kubisa and Rakowska 2018; Majewska 2019).

სოციალური მედიის წყალობით, ახლად გაჩენილმა ადგილობრივმა ჯგუფებმა არა მხოლოდ ერთმანეთთან დაამყარეს კავშირები, არამედ დაამყარეს გრძელვადიანი ტრანსნაციონალური კავშირები სხვა ქვეყნების აქტივისტებთან. პოლონეთის ქალთა გაფიცვამ მთელი მსოფლიოს ქალებისგან მიიღო ონლაინ მხარდაჭერა, რომლებიც სოლიდარობის პლაკატებით საკუთარ ფოტოებს — ცალ-ცალკე და ჯგუფურად — აქვეყნებდნენ. ეს სურათები პოლონეთში გავრცელდა, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ „მარტოები არ ვართ“. ქვეყნის შიგნით მობილიზებამ ასევე მნიშვნელოვანი „ტრანსნაციონალური ფემინისტური დიასპორის“ ჩამოყალიბება გამოიწვია, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრები პოლონელი ქალებისგან შედგებოდა და რომლებიც სოლიდარობის ნიშნად საპროტესტო აქციებს მართავდნენ ყველგან, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. გრეტა გობერისა და ჯასტინა სტრუზიკის თანახმად, ამ გამოცდილებამ გარდამტეხი გავლენა მოახდინა მონაწილეებზე — სახლში, "დებისადმი" სოლიდარობისა და პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალულებმა, მათ ახალი კავშირები დაამყარეს პოლონეთთან და ერთმანეთთან და ფემინიზმის ახალი

განმარტებით გამოვიდნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე. (2018: 143). ტრანსნაციონალური კავშირები მნიშვნელოვანი გახდა როგორც საზღვრებს გარეთ სოლიდარობის გამოხატვისთვის, ასევე სხვადასხვა ეროვნულ კონტექსტში ანტიგენდერული აქტორების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაცვლისთვის. ვერონაში Non Una di Meno-ს მიერ ორგანიზებული საჯარო განხილვების დროს ერთ-ერთმა ავტორმა (EK) პანელზე პოლონეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების აკადემიური ანალიზი წარადგინა, ამავდროულად, გენერალური ასამბლეის სხდომაზე თავადვე წარმოადგენდა პოლონელ ქალთა მოძრაობას.

მიუხედავად იმისა, რომ 'შავი ორშაბათი' ისლანდიის 1975 წლის ქალთა გაფიცვის მოდელზე სწორებით შეიქმნა, პოლონელი ქალების გაფიცვამ, თავის მხრივ, 2017 წლის ქალთა საერთაშორისო გაფიცვა შთააგონა. უკვე 2016 წლის 9 ოქტომბერს, Facebook ჯგუფმა Black Protest International (დაარსებული პოლონელი აქტივისტების მიერ, რომელთა შორის იყო მარტა ლემპარტი და კლემენტინა სუჩანოვი) შემდეგი მოწოდება გამოაქვეყნა ქალთა სექსუალური უფლებებისა და ავტონომიის მოთხოვნით გამართული გლობალური აქციებისთვის:

> დებო და ძმებო! აღმაშფოთებელი შეხსენება იმისა, თუ ჯერ კიდევ რამდენია გასაკეთებელი ქალთა უფლებებთან დაკავშირებით გაუპატიურების კულტურის კონტექსტში. ჩვენ უნდა დავიხსნათ ჩვენი მგრძნობელი და მოაზროვნე სხეულები იმათი ხელიდან, ვინც ჩვენზე ძალაუფლებას ითვისებს. ტრამპი მხოლოდ ერთი, გლობალურად თვალსაჩინო მაგალითია, მაგრამ გაცილებით მეტია ახალი ამბების ყურადღების მიღმა დარჩენილი ძალადობა. ძნელი დასაჯერებელია, თუ როგორ ამართლებენ საჯაროდ გაუპატიურებას ისეთი ძლევამოსილი კაცებისგან, როგორიცაა ჯულიან ასანჟი, დომინიკ შტრაუს კანი და რომან პოლანსკი, მათი მაღალი სოციალური და პოლიტიკური პოზიციებისა და დამსახურების გამო. [...] მოდით, ვისწავლოთ ამ გამოცდილებიდან და არ მივცეთ საშუალება, რომ ჩვენი ხმა მიაჩუმათონ! (Gunnarsson Payne 2020b: 13)

პოლონეთიდან წამოსულმა სლოგანებმა და სურათებმა მთელ მსოფლიოში ჰპოვა გამოხმაურება, მათ შორის 2017 წლის 9 იანვრის ქალთა მარშის სახით ვაშინგტონში. შავი ორშაბათიდან ორი კვირის შემდეგ, 2016 წლის 19 ოქტომბერს, 16 წლის ლუსია პერესის მკვლელობაზე პასუხად, არგენტინაში ფემიციდის წინააღმდეგ #NiUnaMenos-ის აქცია ჩატარდა. მსგავსი დემონსტრაციები მოეწყო მექსიკაში, ელ სალვადორსა და

ჩილეში, რასაც მოჰყვა #NiUnaMenos გაფიცვა ბრაზილიაში (2017 წლის 27 ოქტომბერი). როგორც გუნარსონ პაინი (2020b) აღწერს, ამ აქციებში გამოიყენეს შავი პროტესტებისგან ნასესხები სლოგანები და სურათები, რამაც ერთგვარი „წარმოსახვითი ექოს“ ეფექტი შექმნა თითოეული ადგილობრივი ბრძოლის, ბევრად უფრო ხანგრძლივ ფემინისტურ ისტორიასთან დაკავშირებით, რაც მონაწილეებს საერთო იდენტობის განცდას ანიჭებდა. ერთ-ერთი ასეთი აშკარა ექო პოლონელი აქტივისტების მიერ მავთულის საკიდების გამოყენება იყო, რითაც ისინი პატრიარქატში ქალების ტანჯვაზე მიუთითებდნენ. თავდაპირველად ამ სიმბოლოს შეერთებულ შტატებში როი-უეიდის წინააღმდეგ (Roe vs Wade) სასამართლო გადაწყვეტილებამდელ ეპოქაში, კუსტარული აბორტების აღსანიშნავად გამოიყენებდნენ ხოლმე, პოლონეთში — სადაც უკანონო აბორტები გინეკოლოგიურ ოფისებში ან ქვეყნის გარეთ ტარდებოდა — ის ქალთა ბრაზისა და სოლიდარობის სიმბოლო გახდა. გუნარსონ პაინი ეყრდნობა ფემინისტ ისტორიკოსს, ჯოან სკოტს და ამტკიცებს,

> წარმოსახვა უმნიშვნელოვანესია ნებისმიერი წარმატებული პოლიტიკური მობილიზაციის გასაგებად. იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს პოლიტიკური იდეისადმი ძლიერი აფექტური ბმა, აუცილებელია სუბიექტმა ჩამოაყალიბოს ნარატივი, რომელშიც ის საკუთარ მონაწილეობას წარმოიდგენს და მასთან თავის გაიგივებას დაიწყებს — სწორედ აქ შემოდის წარმოსახვა. (2020b: 11).

ეს წარმოსახვა საერთო ჩაგვრისა და სოლიდარობის განცდას ეფუძნებოდა, თუმცა მისი გავრცელება კოორდინირებულ ძალისხმევას მოითხოვდა.

პოლონელი ფემინისტები ასევე ეხმიანებოდნენ საერთაშორისო ფემინისტურ ხმებს, არა მხოლოდ სიმბოლოების მხრივ, არამედ მიუთითებდნენ საკულტო ფემინისტ წინამორბედებზეც, როგორც Black Protest International-ის ფეისბუქის აღწერაშია:

> ჩვენ გვინდა ვაჩვენოთ, რომ ქალთა საერთაშორისო სოლიდარობა ძლიერი პოლიტიკური ინსტრუმენტია.
> გავიხსენოთ ოდრი ლორდის სიტყვები: „ნებისმიერი ძალა, რომელსაც შენ არ გამოიყენებ, შენ წინააღმდეგ იქნება გამოყენებული“. გავიხსენოთ ლორდის კონცეფცია „ერთობლივი გადარჩენის“ შესახებ — იდეა, რომ თითოეულის გადარჩენა, ისევე როგორც კეთილდღეობა, ურთიერთკავშირშია სხვების

> გადარჩენასთან. დავდგეთ ერთად და ერთად შევქმნათ ბრძოლის იარაღები! (Black Protest International)

2016 წლამდე პოლონეთის ქალთა მოძრაობა თავს გარკვეულწილად იზოლირებულად გრძნობდა ევროპაში, „განსაკუთრებულ შემთხვევად“, რომელსაც, ქვეყანაში კათოლიკური ეკლესიის პოლიტიკური ძალაუფლების გამო, დასავლელი ქალები უიმედოდ თვლიდნენ. 2016 და 2017 წლების მასობრივი პროტესტის შემდეგ ეს შეიცვალა. პოლონეთის ქალთა გაფიცვის ლიდერები ცდილობდნენ კოორდინაცია გაეწიათ 2017 წლის ქალთა საერთაშორისო გაფიცვისთვის და ამაყობდნენ ამ, უფრო ფართო მოძრაობის დაწყებით. მოძრაობის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ პოლონეთის ქალთა გაფიცვის ისტორიაში, ეს მიღწევა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. პოლონელი ქალების გაფიცვის ლიდერი მარტა ლემპარტი ხშირად ხაზს უსვამს მოძრაობის ჰორიზონტალურ ბუნებას და პოლონელი აქტივისტების მთავარ როლს გლობალური ძალისხმევის კოორდინაციაში (მაგ. Wittichová 2019). აქტივისტები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს სხვა ქვეყნებში მიმდინარე ფემინისტურ ბრძოლებს, განსაკუთრებით ირლანდიის ლეგალური აბორტის მოთხოვნით წარმართულ კამპანიას („Repeal the 8th“) და რამდენიმე სოლიდარობის აქცია გამართეს, თუმცა მოძრაობის სტრატეგიები ორ ქვეყანაში განსხვავებული იყო. მაშინ როცა ირლანდიაში კამპანიამ „In her shoes“ უამრავ ქალს აბორტის პირადი გამოცდილების გადმოცემისკენ უბიძგა, პოლონეთში მსგავსი ინიციატივა ვერ მოხერხდა და თითო-ოროლა ქალი, რომელმაც აბორტის საკუთარი ისტორია საჯაროდ მოყვა, უზარმაზარ წინააღმდეგობას წააწყდა (Cullen and Korolczuk 2019).

პოლონელი აქტივისტები, ასევე ინფორმაციას ავრცელებდნენ იმ ქვეყნებში მცხოვრები ქალების გამოცდილების შესახებ, სადაც აბორტი აკრძალულია. ყველაზე ხშირად ელ სალვადორსა და ნიკარაგუას შემთხვევებს ახსენებდნენ. პოლონელმა ფემინისტებმა და Amnesty International-ის აქტივისტებმა საჯარო ყურადღების ცენტრში მოაქციეს ეველინ ბეატრიზ ერნანდეს კრუზის ისტორია, რომელსაც ელ სალვადორის ციხეში 30 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა მას შემდეგ, რაც სასამართლომ გადაწყვიტა, რომ მან უკანონო აბორტი ჩაიტარა და პროცედურა მკვლელობად კვალიფიცირდა. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, სოციალურ მედიაში გაჩენილი ტენდენციების გათვალისწინებით, მეინსტრიმ მედია საშუალებებმაც დაიწყეს ამ ქვეყნებში არსებული ვითარებების გაშუქება. მაგალითად, 2016 წლის 9 აპრილს ყოველდღიურმა Gazeta Wyborcza-მ ვრცელი რეპორტაჟი გამოაქვეყნა ელ სალვადორში ქალების მდგომარეობის შესახებ, რომელიც შემდეგ სოციალური მედიის საშუალებით ფართოდ

გავრცელდა, რაც თანამედროვე ახალი ამბების ნაკადის წრიული ხასიათის მაჩვენებელია.

შიში და ბრაზი, რომელიც ასეთმა ისტორიებმა გამოიწვია, ფართოდ გავრცელდა, რაც ხელნაკეთ ბანერებზე გამოსახულ ისეთ ლოზუნგებში გამოვლინდა, როგორიცაა „ჩვენ არ გვინდა ელ სალვადორი აქ“, რომელსაც ბევრი ქალი დემონსტრაციებზე ატარებდა. როგორც ეს ლოზუნგები მოწმობს, ელ სალვადორი მენტალური ჩამორჩენილობისა და „ბარბაროსული“ კანონების სიმბოლო გახდა, რაც, თითქოს, განვითარებადი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, მაშინ როცა პოლონეთი „განვითარებული ცივილიზებული დასავლეთის“ ნაწილადაა წარმოდგენილი. ამ რიტორიკულმა სტრატეგიამ მოძრაობაში დაძაბულობა გამოიწვია. ზოგიერთმა ფემინისტმა გააკრიტიკა ეს ფრაზა, როგორც უაღრესად პრობლემური და რასისტული და აცხადებდა, რომ მათ ყურადღება უნდა გაემახვილებინათ სხვადასხვა ქვეყნებში ქალებს შორის ტრანსნაციონალური სოლიდარობის ჩამოყალიბებაზე, რათა გაუქმებულიყო აბორტის აკრძალვა როგორც პოლონეთში, ასევე ელ სალვადორში. თუმცა, ამ კრიტიკას ფართო რეზონანსი არ მოჰყოლია, მომიტინგეებს შორის, რომელთაგან ბევრი მსვლელობისას ევროკავშირის დროშებს ატარებდა და სკანდირებდა „ჩვენ პოლონეთში ვართ და არა ელ სალვადორში“, რაც უპირატესობის და არა სოლიდარობას განცდას გამოხატავდა. მსგავსი დინამიკა შეიმჩნევა ფემინისტურ დებატებში „მუსლიმი ქალის”, როგორც რელიგიური ფუნდამენტალიზმის მიერ ქალთა ჩაგვრის სიმბოლოს ხშირ გამოყენებაში (ბობაკო 2017): ტაქტიკა, რომელიც ზოგისთვის თავისთავად ცხადი და გამართლებული ჩანს, ზოგისთვის კი მიუღებელი.

ეს განხეთქილება რაღაც მნიშვნელოვანს გვეუბნება პოლონურ მოძრაობაში ტრანსნაციონალიზმის მნიშვნელობის შესახებ: ზოგიერთი ქალისთვის ეს ნიშნავს სოლიდარობას ჩაგრულ ქალებთან ყველგან, მაგრამ სხვებისთვის ეს ნიშნავს "მოწინავე" ლიბერალურ დასავლეთთან კუთვნილებას, რაც ზოგიერთ დასავლურ ფემინისტურ დისკურსში ნაგულისხმევი უპირატესობის განცდის მსგავსია, რომელსაც პოსტკოლონიური მკვლევარები 1980-იანი წლებიდან აკრიტიკებენ (Mohanty 1984) და რამაც ფემინიზმი ფემონაციონალისტური მიზნებით მისი გამოყენებისადმი მგრძნობიარე გახადა (Farris 2017). თავად დებატები მოწმობს უფრო ფართო ტრანსნაციონალური კონტექსტებისა და კონფლიქტების მიმართ ადგილობრივი ფემინისტური იდენტობებისა და ბრძოლების გახსნაზე. შავი პროტესტების დროს ფემინისტური იდენტობა პოლონეთში სწრაფად გასცდა ეროვნული იდენტობის

ვიწრო საზღვრებს, რადგან, მოძრაობის მონაწილეები, პატრიარქალურ ძალებთან ბრძოლაში, საკუთარ თავს ქალთა მსოფლიო რევოლუციის მონაწილეებად წარმოიდგენდნენ, რომელიც ხასიათით გლობალურია და არა ლოკალური. ამ პერსპექტივას ჩვენ ვიზიარებთ, როგორც აქტივისტები, ფემინისტური ბრძოლის მონაწილეები და როგორც მკვლევრები, რომლებიც გენდერის გარშემო მობილიზების უფრო ფართო სქემებს იკვლევენ.

**შავი პროტესტების წარმატების ანალიზი: რატომ მოხდა და რატომ იმუშავა**

შავი პროტესტის ფენომენი ამ დრომდე უკვე ბევრმა მკვლევარმა შეისწავლა: სოციოლოგებმა, ეთნოგრაფებმა, კულტუროლოგებმა და პოლიტოლოგებმა. როგორ მოახერხა ამდენმა ქალმა ასეთ მოკლე დროში მობილიზება? რატომ გამოიწვია ამდენი ბრაზი „შეაჩერე აბორტის“ კანონმა? ბოლოს და ბოლოს, 1993 წლის ეგრედ წოდებული „კომპრომისული კანონის“ მიღების შემდეგ ლეგალური აბორტის მიღება პოლონეთში თითქმის შეუძლებელი იყო. თეორიული ხელსაწყოებიდან გამომდინარე, მკვლევრება ამ კითხვებზე სხვადასხვა პასუხი გასცეს, მაგრამ ყველა კვლევა ხაზს უსვამს პროტესტის ეგალიტარულობას, ემოციურ ინტენსივობას, სპონტანურობას და სოციალური მედიის გამოყენებას. შემოთავაზებული კანონი აღიქმებოდა, როგორც სასტიკი და არაადამიანური და არა უბრალოდ შემზღუდველი და ის ფაქტი, რომ მან მხარდაჭერა საეპისკოპოსოსგან მიიღო, მნიშვნელოვანი გამღიზიანებელი იყო. აბორტის აკრძალვა გახდა რიგი, უფრო ფართო პრობლემების და წუხილების სიმბოლო.

როგორც მასშტაბმა, ისე ემოციურმა ინტენსივობამ, რასაც მოგვიანებით ქალთა ჯანყი ეწოდა, ყველა მოლოდინს გადააჭარბა, მათ შორის ორგანიზატორებისაც. რამაც ბევრი გააკვირვა, იყო მობილიზაციის მყისიერი ეფექტი: გაფიცვამ სადავო კანონპროექტის გაწვევა გამოიწვია და ქალთა მოძრაობის მძლავრი გამოღვიძება. ბევრი მკვლევარი თანხმდება, რომ ეს, ფაქტობრივად, ფემინიზმის, როგორც ქვემოდან წამოსული, ჰორიზონტალური მოძრაობის დაბადება იყო პოლონეთში: ინტერსექციური, ინკლუზიური და შინაგანად მრავალფეროვანი (Korolczuk et al. 2019; Majewska 2016; Murawska and Włodarczyk 2017). ათასობით პოლონელი ქალისთვის ეს ასევე პიროვნული ტრანსფორმაციის მომენტი იყო: როგორც ერთ-ერთმა მონაწილემ შჩეცინიდან თქვა ინტერვიუში, მიუხედავად იმისა, რომ ის 2016 წლამდე არ იყო აქტივისტი, ის ახლა გრძნობდა ძალას არა მხოლოდ შეერთებოდა საპროტესტო აქციებს, არამედ ტრიბუნაზეც გამოსულიყო. მან გაიხსენა: „ერთ-ერთი პირველი

დემონსტრაციის დროს სპონტანურად დავიწყე სიტყვით გამოსვლა და ხალხს ეს მოეწონა, მათ ჩემს სიტყვებში თავი ამოიცნეს, ამიტომ მოგვიანებით ორგანიზატორებმა დამირეკეს და სიტყვით გამოსვლა მთხოვეს“ (2019 წლის 28 სექტემბრის ინტერვიუ, ჩვენი თარგმანი). 2016 წლამდე ფემინიზმი პოლიტიკურად მარგინალური ფენომენი იყო, რომელიც ძირითადად შემოფარგლული იყო არასამთავრობო ორგანიზაციებით, უნივერსიტეტის გენდერის კვლევების პროგრამებით და უმეტესად საშუალო კლასის ‘ქალთა კონგრესით’, სადაც უფრო რადიკალური მემარცხენე ორგანიზაციები და არაფორმალური ჯგუფები, როგორიცაა ადგილობრივი Manifas, აღიარებისა და გავლენის მოსაპოვებლად იბრძოდნენ როგორც მოძრაობის შიგნით, ასევე საჯარო დისკუსიებში (Grabowska 2012, Regulska and Grabowska 2013). როდესაც 2012 წელს „გენდერის იდეოლოგიაზე“ ულტრაკონსერვატიული თავდასხმები დაიწყო, ქალთა და მემარცხენე წრეებმა მთელი რიგი სტრატეგიები გამოიყენეს ამ შეტევასთან დასაპირისპირებლად. ჯერ კიდევ 2013 წელს იყო მცდელობები გაებათილებინათ ანტიგენდერული მოძრაობის პრეტენზიები, გენდერული თანასწორობის დღის წესრიგის ხელშეწყობისა და გენდერის კვლევების, როგორც ლეგიტიმური მეცნიერების დასაცავად (Duda 2016; Grzebalska and Soós 2016). აკადემიურმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა არაერთი წიგნი, სტატია და სახელმძღვანელო გამოსცეს მასწავლებლებისთვის, რომლებიც განკუთვნილია როგორც ფართო საზოგადოებისთვის, ასევე კონკრეტული ჯგუფებისთვის. უმეტეს შემთხვევაში „გენდერის იდეოლოგიაზე“ თავდასხმებს ავტორები უყურებდნენ, როგორც სამწუხარო გაუგებრობას და ოპონენტებთან კამათში შესვლას გენდერული თანასწორობის, როგორც ცნების, ნიუანსებისა და მნიშვნელობების ახსნით ცდილობდნენ. მოეწყო შეხვედრები, დებატები, კონფერენციები და ვორქშოფები, რომელთა მიზანი იყო ჩაერთოთ აკადემიის წარმომადგენლები, მასწავლებლები და ფართო საზოგადოება, ხოლო გენდერის კვლევების ექსპერტები ცდილობდნენ შეწინააღმდეგებოდნენ გენდერული საფრთხის შესახებ განვითარებულ ისეთ ნარატივებს, როგორიც მამა ოკოს მიერ მეინსტრიმულ მედიაში ვრცელდებოდა.

ერთ-ერთი სტრატეგია, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული სოციალურ მედიაში იყო, სატირული მიმების, მულტფილმებისა და კაბარე სიმღერების საშუალებით ანტიგენდერული დისკურსის ექსცესების დაცინვა იყო, მაშინ როცა ზოგიერთი ფემინისტური და ლგბტ ორგანიზაცია სტრატეგიულ სამართალწარმოებაში იყო ჩართული. კიდევ ერთი სტრატეგია გამოიყენა ქალთა კონგრესმა, რომელმაც 2013 წელს საჯარო წერილი გაუგზავნა რომის პაპ ფრანცისკეს, რომელშიც იგი „პოლონეთის კათოლიკე სასულიერო პირების მიერ ქალთა

უფლებებზე უპრეცედენტო თავდასხმების შესახებ“ გააფრთხილეს (Kośmiński 2013). გარდა ამისა, მომზადდა ანგარიშები, სადაც ნაჩვენები იყო თუ როგორ იღებდნენ გენდერული თანასწორობის სტანდარტების დანერგვისთვის ევროკავშირის მიერ გამოყოფილ თანხებს კათოლიკური ორგანიზაციები. 2013 წელს Feminoteka-ს ფონდმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც ხელისუფლებისგან მოითხოვეს გადაეხედათ ევროკავშირის მიერ გამოყოფილი თანხების განაწილებისთვის ისე, რომ ორგანიზაციებს, რომლებიც არ აკმაყოფილებდნენ კრიტერიუმებს, თანხა უკან უნდა დაებრუნებინათ (Grzebalska and Soós 2016).

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ამ სტრატეგიას საზოგადოებაში გამოხმაურება მოჰყვა, ისინი ძირითადად რეაქტიული იყო და ორიენტირებული იყო ანტიგენდერული ჯგუფების ცრუ ბრალდებების გაბათილებაზე. ეს სტრატეგიები ძირითადად არსებულ სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურებს ეყრდნობოდა და სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის პირობით იყო შემუშავებული, რაც დიდწილად არაეფექტური აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც 2015 წლის ბოლოს პარტია ‘კანონი და სამართლიანობა’ ხელისუფლებაში მოვიდა. მოძრაობა სუსტი და, ზოგიერთ შემთხვევაში, გულუბრყვილო ან რეალობას აცდენილი ჩანდა, როგორც ეს პაპისადმი მიწერილი წერილის შემთხვევაში იყო, რომელსაც ვატიკანის ოფიციალურმა პირებმა ბუნდოვნად, წმინდა საყდრის კეთილი ზრახვების მოყოლით უპასუხეს. ის, რაც ამ ინიციატივებმა არ გაითვალისწინა, უფრო ფართო პოლიტიკური დინამიკა იყო: ტრანსნაციონალური ანტიგენდერული მოძრაობის მასშტაბი და მისი ურთიერთკავშირი მემარჯვენე პოპულიზმთან. ამის საპირისპიროდ, შავი პროტესტი თავისი დღის წესრიგით და საკუთარი პოლიტიკური კულტურით ნამდვილი მასობრივი მოძრაობა იყო. გაფიცვით ფემინიზმი ეროვნული მასშტაბის ჰორიზონტალური მოძრაობა გახდა, რომელიც რადიკალური პოლიტიკური რიტორიკით და პატრიოტული სიმბოლოების სათავისოდ გამოყენებით გამოირჩეოდა, და რომელსაც რამდენიმე დღეში ათიათასობით ქალის მობილიზება შეეძლო (Graff 2019).

სხვადასხვა ქვეყანებში ფემინისტურ მობილიზაციებს ერთმანეთთან ბევრი საერთო ჰქონდა. ერთ-ერთი რაც ამ კამპანიებს საერთო აქვს ახალი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლია: იმ ადამიანების სოციალური ჩართულობა, რომლებიც ადრე საკუთარ თავს აქტივისტებად არ აღიქვამდნენ, გამოწვეული იყო სოციალური მედიაში მათი მონაწილეობით (Korolczuk 2016). მოძრაობების სწრაფი ზრდა შეიძლება *მაკავშირებელი* (განსხვავებით *კოლექტიური*) მოქმედების ცნების გამოყენებით

აიხსნას. პროტესტის „გაფართოება“ შესაძლებელი გახდა ინტერნეტის მომხმარებელთა პერსონალიზებული ჩართულობით, რომელშიც კომუნიკაცია ორგანიზაციული სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა (Bennett and Segerberg 2013). როგორც ჩანს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) როლი სცილდება კომუნიკაციის შესაძლებლობას და ხელს უწყობს კოლექტიური იდენტობის აგებას: მედია მოქმედების ლოგიკას ცვლის. ლენს ბენეტმა და ალექსანდრა სეგერბერგმა, რომლებმაც გლობალიზაციის წინააღმდეგ მიმართული მთელი რიგი ეროვნული და ტრანსნაციონალური მოძრაობები გააანალიზეს, შემოიტანეს განსხვავება ჯგუფებსა და ქსელებს შორის, რომლებიც კოლექტიური მოქმედების ტრადიციულ ლოგიკას მიჰყვებიან და მათ, რომლებიც “მაკავშირებელი მოქმედების“ ლოგიკას მიჰყვებიან (2012, 2013). მაშინ, როდესაც პირველს კოლექტიური იდენტობების ჩამოყალიბებისა და განვითარებისთვის მაღალი დონის ორგანიზაციული რესურსები და ძალისხმევა ესაჭიროება, მეორე „რესურსებს სოციალური ტექნოლოგიების გამოსაყენებლად იყენებს, რაც მას საშუალებას აძლევს პერსონალიზებული აქტივისტური საკითხების [personalized action themes] გარშემო მოქნილი საზოგადოებრივი ქსელები შექმნას“ (Bennett and Segerberg 2012: 757). ეს თავის მხრივ ცვლის მოქმედების ძირითად დინამიკას, იდენტობის საკმაოდ ეკლექტური და მერყევი განცდის გამო მას უფრო მოქნილს და პერსონალიზებულს ხდის. აბორტის აკრძალვის წინააღმდეგ პოლონეთის საპროტესტო აქციებში ეს ახალი ლოგიკა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო, რამაც ხელი შეუწყო მასობრივ ჩართულობას.

პროტესტის სწრაფი ზრდა გვიჩვენებს, თუ როგორ შეუძლია პერსონალური მოქმედების ჩარჩოებს [personal action frames] ან მიმებს მოახდინოს ისეთი ადამიანების ეფექტური მობილიზება, რომლებიც პროცესებს მხოლოდ შორიდან აკვირდებოდნენ ხოლმე. მიმები ინფორმაციის პაკეტებს წარმოადგენენ (ტექსტუალურს და/ან ვიზუალურს), რომელთა ადაპტირება და გაზიარება მარტივია, ამიტომ ისინი სწრაფად ვრცელდებიან განსხვავებულ პოპულაციებში (Bennett and Segerberg 2012: 745). ინკლუზიურობა, გზავნილის სიცხადე და ემოციური მიმზიდველობა, პერსონალიზაციის მაღალ პოტენციალთან ერთად, შავ პროტესტებში მიმების პოპულარობის მთავარი მიზეზია. ძირითადი იდეა ძალიან მარტივი იყო: იმისათვის, რომ მოძრაობას შეერთებოდი, უნდა გამოგექვეყნებინა შავებში ჩაცმული საკუთარი ფოტო ჰეშთეგით #blackprotest. მარტივი და გენდერულად ინკლუზიური ფორმულის პერსონალიზაცია ადვილი იყო. როგორც ფილოსოფოსმა და ფემინისტმა აქტივისტმა ევა მაჯევსკამ (2016) აღნიშნა, ამ სტრატეგიის ძალა მდგომარეობდა არა მხოლოდ მის ინკლუზიურობაში, არამედ ძალაუფლების მქონე (სურათების, ლოზუნგების ან

სტრატეგიების) შემქნელებსა და სუსტ მონაწილეებს შორის — რომლებსაც მხოლოდ შექმნილის მიიღება ან უარყოფა შეუძლიათ — ტრადიციულ იერარქიულ ურთიერთობებთან დაპირისპირებულობაშიც. ეს ფორმულა მონაწილეებს საშუალებას აძლევდა გაეკონტროლებინათ ის, რასაც სხვებთან ერთად იზიარებდნენ. მონაწილეთა უმეტესობა საგულდაგულოდ გადაღებულ სელფებს აქვეყნებდა, ბევრმა ქალმა ფოტოების გამოქვეყნება მეგობრებთან, პარტნიორებთან ან ბავშვებთან ერთად გადაწყვიტა, ზოგიერთმა ჯგუფურად, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო გვერდზე მდგომთა ჩართულობას. ასევე იყვნენ ადამიანები, რომლებიც ანონიმურობას ამჯობინებდნენ და აქვეყნებდნენ საყვარელი ვარსკვლავების, მედია ფიგურების ან თუნდაც შინაური ცხოველების სურათებს შავი ტანსაცმლით ან უბრალოდ შავ-თეთრ ფოტოებს. უმეტესობამ არა მხოლოდ გამოიყენა ჰეშთეგები, არამედ პერსონალური მესიჯიც დაამატა: პირველადი კონცეფცია გულისხმობდა კონტენტის სახეცვლილებისა და პერსონალიზების შესაძლებლობას, რამაც ადამიანებს საშუალება მისცა გამოეხატათ თავიანთი ემოციები, მოქმედების თავისუფლება და კონტროლი ახალი შინაარსების შექმნაზე.

პროტესტის მთავარ ფორმად გაფიცვის არჩევას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მობილიზაციის მასშტაბისთვის. თავიდან ინიციატორები ტიპიური გაფიცვის მოწყობის შესაძლებლობას განიხილავდნენ, ქალებს სამუშაო ადგილების დატოვებისკენ  და ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ შიდა განხივლების შემდეგ ფორმულა გაცილებით ღია გახდა. გაფიცვა ყოვლისმომცველი სიმბოლური პაკეტი გახდა, რომელიც აქტივობების მთელ წყებას მოიცავდა, როგორიცაა გაფიცვა, სამსახურში შავებში ჩაცმა, ბავშვების სკოლაში ან ბაღში შავი ფერის ტანსაცმლით ტარება, სამკერდე ნიშნების ტარება, მხარდამჭერი შეტყობინებების გამოქვეყნება სოციალურ მედიაში, კანონისა და სამართლიანობის პარტიის ოფისების შესასვლელების ბლოკირება, ფემინისტური წიგნების კოლექტიური კითხვა ან დებატები რეპროდუქციული უფლებების შესახებ, ან თუნდაც სენდვიჩების მომზადება თანამებრძოლებისთვის, როგორც ეს ვარშავაში მცხოვრები კაცი მონაწილეების შემთხვევაში იყო. ღია ფორმულა ხალხს საშუალებას აძლევდა მონაწილეობა მიეღოთ და ეგრძნოთ, რომ ისინი ეროვნული მასშტაბის ინიციატივის ნაწილები არიან, მაშინაც კი, თუ მათ თავიანთი დროისა და ენერგიის მხოლოდ მცირე ნაწილის დახარჯვა შეეძლოთ იმ ძალისხმევიდან, რასაც რეგულარული გაფიცვა მოითხოვს. როგორც ამბობენ, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პატარა ქალაქებში და სოფლებში მცხოვრები ეკონომიკურად გაჭირვებული ქალებისთვის და მოსახლეობისთვის, სადაც სამუშაო ადგილების სიმცირისა და კონსერვატიული

ადგილობრივი გარემოს გამო, ისეთ პოტენციურად საკამათო საკითხებში ჩართვა, როგორიც რეპროდუქციული უფლებებია, რისკის შემცველია (Kubisa and Rakowska 2018).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, პოლონურ კონტექსტში გაფიცვის კონცეფცია 1980 წლის სოლიდარობის პირველ, გმირულ ტრადიციებთან ასოცირდება, პოლონელი მუშაკების კოლექტიურ ქმედებებთან, რომლებიც — ინტელექტუალების და აქტივისტების მხარდაჭერით — კომუნისტურ მმართველობას დაუპირისპირდნენ. როგორც იულია კუბისამ და კატაჟინა რაკოვსკამ (2018) აჩვენეს, შემთხვევითი არ არის, რომ 'პოლონელ ქალთა გაფიცვამ' და 2018 წელს ვარშავაში შშმ პირთა მშობლების პროტესტმა თავიანთ გამოსვლებს „გაფიცვები" უწოდეს, თუმცა არცერთი ინიციატივა პირდაპირი გაგებით გაფიცვა არ ყოფილა:

> ისინი დაუპირისპირდნენ წარმოებასა (ანაზღაურებადი შრომა) და კვლავწარმოებას (არაანაზღაურებადი შრომა) შორის გამიჯვნას, რამაც „შრომაზე უარის" თქმას კიდევ უფრო ღრმა მნიშვნელობა შესძინა და გამოაჩინა, თუ რამდენად მჭიდროდაა ეს ორი ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორც რეპროდუქციული უფლებების, ისე ზრუნვის შრომის თვალსაზრისით. ამ ღონისძიების სიძლიერე გაფიცვის კონცეფციის გამოყენებასა და ინკლუზიური სივრცის უზრუნველყოფაში ძევს, რითაც რეპროდუქციული უფლებებისთვის ბრძოლასთან დაკავშირებული სხვადასხვა აქტივობები ერთმანეთს დაუკავშირდა (2018: 37).

აქამდე ჰეგემონური ნარატივი ფოკუსირებული იყო ისეთ საკულტო კაც გმირებზე, როგორიცაა ლეხ ვალენსა (ან ლეხ კაჩინსკი პოლონეთის ისტორიის მემარჯვენე ვერსიაში). ეს ტენდენცია გაგრძელდა მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური პერიოდის ქალთა გაფიცვების ხანგრძლივი ტრადიცია არსებობდა, რომლებიც დიდ ქარხნებში იყო ორგანიზებული, მაგ. ქალაქ ლოძში, რათა გაეპროტესტებინათ დაბალი ანაზღაურება, მძიმე სამუშაო პირობები და უთანასწორო მოპყრობა (Fidelis 2010; Mazurek 2010). როგორც ევა მაჯევსკა (2016) განმარტავს, ხშირად მეინსტრიმული ისტორიოგრაფია კოლექტიური ძალისხმევისა და საერთო პასუხისმგებლობის მნიშვნელობას აკნინებს ხოლმე, სანაცვლოდ კი ხაზს უსვამს ინდივიდუალური თვისებების როლს, როგორიცაა (კაცური) ქარიზმა, ძლიერი ნება და პიროვნული მსხვერპლის გაღება. სოლიდარობის მოძრაობის შესახებ ნარატივები ძირითადად გმირების კონკრეტულ ფიგურებსა და თავგანწირვის იმპერატივზეა ფოკუსირებული.

ამის საპირისპიროდ, პოლონელ ქალთა გაფიცვის ნარატივი კოლექტიური ძალისხმევისა და ქალთა შორის სოლიდარობის გარშემო შეიკრა, რომლებმაც უარი თქვეს დიდი სიკეთისთვის საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვაზე — იქნება ეს ღმერთი, ერი თუ უბრალოდ შობადობის უფრო მაღალი მაჩვენებელი. მაჟევსკა (2017) დამაჯერებლად აჩვენებს, რომ ქალთა პროტესტის ეს ახალი ტალღა „სუსტი წინააღმდეგობის“ პარადიგმას მიჰყვება, რომელიც ეფუძნება კოლექტიურ ძალისხმევას და არა ინდივიდუალურ გმირობას, სოლიდარობას და არა ქარიზმატულ ლიდერებს.

მოძრაობის წარმატებას ასევე ხელი შეუწყო სხვა კონტექსტუალურმა ფაქტორებმა და პოლიტიკური შესაძლებლობების სტრუქტურებში ცვლილებებმა. კანონპროექტი „შეაჩერე აბორტი“ წარედგინა პარლამენტს, სადაც სოციალურად კონსერვატიული პარტიები დომინირებდნენ, ხოლო მმართველ პარტიას „კანონი და სამართლიანობა“ არჩევნების დროს აბორტის აკრძალვის მომხრე ჯგუფებმა დაუჭირეს მხარი — ამ ორმა ფაქტმა მყისიერი საფრთხის განცდის გაჩენას შეუწყო ხელი. გავრცელდა აზრი, რომ ამჯერად რეალური იყო შანსი იმისა, რომ პარლამენტი აბორტის სრულ აკრძალვას დაუჭერდა მხარს. ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა დაძაბულმა პოლიტიკურმა კლიმატმა და მოქალაქეთა მობილიზებამ, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ახალი რეჟიმის მიერ გატარებულ სხვა რეფორმებს. ზოგიერთ ადგილზე, როგორიცაა ქალაქი ლოძი, ანტი-PiS ჯგუფები ქალთა საპროტესტო აქციების ორგანიზატორებს მხარს უჭერდნენ პრაქტიკული ცოდნითა და ისეთი მნიშვნელოვანი რესურსებით, როგორიცაა აკუსტიკური სისტემები, მიტინგების დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა ან ბუკლეტების დაბეჭდვა და საინფორმაციო მასალის გავრცელება. როგორც ერთმა ადგილობრივმა აქტივისტმა პირად კომუნიკაციაში განმარტა:

> აქ, ლოძში, ჩვენ შესანიშნავი კომუნიკაცია გვაქვს მოქალაქეთა ყველა ჯგუფთან, KOD-თან, ძველ ორგანიზაციებთან, ყველა ჩართულია, არანაირი კონფლიქტი არ არის, რადგან ვიცით, რომ ერთად ვართ. (კომუნიკაცია შეხვედრის დროს, 2016 წლის დეკემბერი, ჩვენი თარგმანი)

ქალთა პროტესტი აბორტის სრული აკრძალვის წინააღმდეგ შეიძლება ინტერპრეტირდეს, როგორც პოლონეთის სამოქალაქო საზოგადოების გარდაქმნის ნაწილი, რომელიც 2016 წლამდე ხშირად ენჯეოიზებულად და დეპოლიტიზებულად იყო წარმოდგენილი (Jacobsson and Korolczuk 2017). სოციალურად კონსერვატიულ და პოპულისტურ პარტიას “კანონი და სამართლიანობა” სწრაფად შეჰქონდა ცვლილებები

სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში, თანდათანობით ანადგურებდა ლიბერალური დემოკრატიის ძირითად პრინციპებს. ამ პროცესში პოლონეთის საზოგადოება უკიდურესად პოლარიზებული გახდა, მაგრამ ასევე ბევრად უფრო ჩართული და პოლიტიკურად აქტიური, ქუჩის პროტესტი კი ნორმალიზდა, როგორც მოქალაქეებსა და ძალაუფლების მქონეთა შორის კომუნიკაციის საშუალება. ბედის ირონიით, "კანონისა და სამართლიანობის" წარმომადგენლები, რომლებიც, როგორც ჩანს, დიდი ეჭვით უყურებდნენ სპონტანური ჰორიზონტალური ორგანიზების შესაძლებლობას, ძალიან ეფექტური მიზეზები შეიქნენ პოლონეთში და მის ფარგლებს გარეთ ათასობით ქალისა და მამაკაცის მობილიზებაში.

**პოპულისტური ფემინიზმი — "ჩვეულებრივი ქალების" არაჩვეულებრივი ძალა**

როგორ მოვიაზროთ ფემინისტური მობილიზაცია პოპულისტურ დროში? გუნარსონ პაინი (2020b) შავი პროტესტების ეგალიტარიზმს შანტალ მუფის (2018) მემარცხენე პოპულიზმის თეორიასთან აკავშირებს. **მუფი პოპულიზმს კონფლიქტის განსაკუთრებულ არტიკულაციად ხედავს, რომელშიც „ჩვენ" განისაზღვრება როგორც ხალხი, ხოლო დაპირისპირებული ძალა, როგორც ამპარტავანი და კორუმპირებული ელიტა. თუკი მემარჯვენე პოპულიზმი „ხალხის" კოლექტიურ იდენტობას ექსკლუზიურ ცნებებში აყალიბებს (როგორც საერთო ეთნიკურობაზე, რასაზე ან ერზე დაფუძნებული კოლექტივი),** მემარცხენე პოპულიზმი საპირისპიროს აკეთებს. ეს არის პოლიტიკური სტრატეგია, რომელიც:

> […] მიზნად ისახავს დემოკრატიულ მოთხოვნათა კოლექტიური ნების ფორმირებას, რათა შექმნას „ჩვენ", „ხალხი", რომელიც უპირისპირდება საერთო მოწინააღმდეგეს: ოლიგარქიას. ეს მოითხოვს ეკვივალენტობის ჯაჭვის შექმნას მუშების, ემიგრანტების და პრეკარიული საშუალო ფენის მოთხოვნებს შორის, ისევე როგორც სხვა დემოკრატიულ მოთხოვნებს შორის, როგორიცაა ლგბტ თემის მოთხოვნები. ასეთი ჯაჭვის მიზანია ახალი ჰეგემონიის შექმნა, რომელიც დემოკრატიის რადიკალიზების შესაძლებლობას შექმნის. (Mouffe 2018: 24)

მემარჯვენე პოპულისტებთან დაპირისპირებისას, შავი პროტესტის მონაწილეები დაჟინებით ცდილობდნენ მიმდინარე პოლიტიკური კონფლიქტისთვის ისეთი ჩარჩო მიეცათ, რომ ქალები წარმოდგენილიყვნენ როგორც „ხალხი", რომელთა უფლებებიც საფრთხეში იყო. მოძრაობის მემარცხენე პოპულისტურ ჩარჩოში მემარჯვენე ძალები

— კარგად დაფინანსებული, კარგად დაკავშირებული, სასტიკი და მანიპულაციური — წარმოდგენილი იყო როგორც კორუმპირებული ელიტა. მსგავსი პოლიტიკური იდენტიფიკაცია ქალთა მოძრაობებმა სხვა ქვეყნებშიც გამოიყენეს, მაგ. ბევრმა ლათინოამერიკელმა აქტივისტმა მკაფიოდ წარმოადგინა თავი, როგორც ჩაგრულთა ხმა, რომელიც პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ელიტების წინააღმდეგ დგას (მაგ. Biglieri 2020).

სავარაუდოდ, ყველაზე საინტერესო აღმოჩენა მობილიზაციაზე აქტივისტების მიერ საკუთარი თავის „ჩვეულებრივ ქალად“ აღქმაა. ჯენიფერ რამისა და კლაუდია სნოჩოვსკა-გონსალესის (2019) მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით, 95 ქალთა გაფიცვის კოორდინატორებთან ჩატარებულ ინტერვიუებს ეფუძნება აჩვენებს, რომ ისინი დაჟინებით იყენებდნენ ამ ფრაზას საკუთარი თავის აღსაწერად. ნაგულისხმებ „ჩვეულებრივობას“ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. პირველ რიგში, ეს ნიშნავს მომიტინგეთა მრავალფეროვნებას ასაკის, განათლების, კლასისა და რეგიონის თვალსაზრისით; მეორე, ის განასხვავებს მათ გამოცდილი აქტივისტებისგან ან პოლიტიკაში ჩართული ადამიანებისგან (Ramme and Snochowska-Gonzalez 2019: 95–99). როგორც ჩანს, "ჩვეულებრივი ქალები" საზოგადოების ყველა ფენის ქალები არიან, რომლებსაც თავიანთი ცხოვრება ჰქონდათ, სანამ მათში “შეაჩერე აბორტის” კანონპროექტმა ბრაზი არ გამოაღვიძა  და საპროტესტო აქციებში მონაწილეობისკენ არ უბიძგა. რამისა და სნოჩოვსკა-გონსალესის დასკვნა გუნარსონ პაინის მიერ შემოთავაზებული დასკვნის მსგავსია: ისინი ფრაზის „ჩვეულებრივი ქალების“ მუდმივ გამოყენებას კონკურენტი პოპულიზმების უფრო ფართო ჩარჩოში ხედავენ. პოლონელ ქალთა გაფიცვის მონაწილეებს არ ეშინიათ იმის თქმა, რომ ისინი „ქალ ხალხს“ ან „ქალ სუვერენს“ წარმოადგენენ და გვთავაზობენ ამ კოლექტივების განსხვავებულ გაგებას — პლურალისტურს და ინკლუზიურს.

მკვლევრები ხაზს უსვამენ მოძრაობის ეგალიტარულობას, მის ინკლუზიურობას და სპონტანურ, არაკონტროლირებად ზრდას. ლიდერობა კოლექტიური იყო და თავდაპირველად, მოძრაობას არ ჰყავდა „ვარსკვლავები, თუმცა ზოგიერთი ქალი (განსაკუთრებით მარტა ლემპარტი) მთელ ქვეყანაში გახდა ცნობილი. სოლიდარობა იგრძნობოდა და ვლინდებოდა ყველაზე დაუცველ და ნაკლებად პრივილეგირებულ ქალებთან მიმართებით: ე.ი. მათ მიმართ ვინც ვერ ახერხებს საზღვარგარეთ აბორტის გაკეთებას, ვინც გაუპატიურების მსხვერპლია, მარტოხელა დედაა ან შშმ ბავშვის დედაა. მაჟევსკამ (2016) მოძრაობა ვაცლავ ჰაველის "ძალა უძალოთა" და ანტონიო

ნეგრის "საერთოს" ცნებათა გამოყენებით შეისწავლა და ამტკიცებს, რომ პროტესტი განპირობებული იყო მონაწილეთა რწმენით, მათ სისუსტესა და დაუცველობაში.

საზოგადოებრივი ემოციების მობილიზების თვალსაზრისით, შავი პროტესტი კოლექტიური აღშფოთების, სასოწარკვეთის და სამართლიანი ბრაზის გამოხატულება იყო. სწორედ ეს ემოციები  და არა პოლიტიკურ ხედვათა თანმიმდევრული ნაკრები იყო ის,  რასაც "მაკავშირებელი ქმედების" ლოგიკის მეშვეობით და მასობრივი პროტესტის დროს ათასობით ადამიანი იზიარებდა, რაც ბევრი ქალისთვის რევოლუციურ მომენტად და პიროვნულ გარღვევად იქცა. როგორც ერთ-ერთი მონაწილე იხსენებს:

> ჩვენ იქ სხვა ქალების გარემოცვაში ვიდექით, შავი ჯავშნით გარშემორტყმული, თითქოს ერთი ორგანიზმი ვყოფილიყავით, ერთი გაბრაზებული ორგანიზმი, ორგანიზმი, რომელიც ამბობდა: უბრძოლველად არ დავნებდებით. ეს კარგი იყო. ჩვენთან დაპირისპირება არავის უცდია. ჩვენ ძალა ვიყავით, სიმღერებს ვმღეროდით. ცხოვრებაში პირველად მოვხვდი ჩემსავით მოაზროვნე ადამიანების გარემოცვაში. ჩვენ ყველა თანხმობაში ვიყავით. (Smętek 2017: 25, ჩვენი თარგმანი)

ისინი, ვინც მოძრაობას შეუერთდნენ, თავს აუცილებლად ფემინისტებად არ თვლიდნენ, მაგრამ მათ საერთო საფრთხე და საერთო მტერი ჰყავდათ: ულტრაკონსერვატორი კათოლიკეები, რომლებსაც მხარს პოპულისტური მემარჯვენე მთავრობა უჭერდა. ცხადმა *ჩვენ—ისინი* დაყოფამ ხალხს, რომელთაც სხვაგვარად შეიძლება ერთმანეთთან თანამშრომლობა არ ნდომოდათ, ხელი შეუწყო მობილიზებაში. ქალებს შორის ისეთი ემოციების მობილიზებამ, როგორიცაა შიში, ბრაზი, აღშფოთება და სოლიდარობა, გადამწყვეტი როლი ითამაშა მოძრაობის მასობრივ ზრდაში. აბორტის შეჩერების კანონპროექტის გამოქვეყნებისთანავე, ფემინისტმა ექსპერტებმა და აქტივისტებმა მისი დებულებები ფართო საზოგადოებისთვის „თარგმნეს" და იმ საშინელი შედეგების შესახებ გააფრთხილეს, რასაც ასეთი კანონი მილიონობით პოლონელ ქალსა და მათ ოჯახებს მოუტანდა. მათ ყურადღება გაამახვილეს იმ საფრთხეზე, რომ კანონი პროკურორებს ხელს გაუხსნიდა დაეპატიმრებინათ ქალები და იმ პაციენტთა საქმეებზე გამოძიება დაეწყოთ, რომელთაც მუცელი მოეშალათ. ფრაზა „ბარბაროსული კანონი" ფართოდ ასოცირდა კანონპროექტთან. კანონის შესაძლო შედეგები „ქალების წამებას" შეადარეს, რათა ხაზი გაესვათ მისი უპრეცედენტო სისასტიკისთვის და იმ ფიზიკური და ფსიქიკური

ტკივილისთვის, რომელსაც ქალი პაციენტები კანონის შემოღების შემთხვევაში განიცდიდნენ. ბევრმა ქალმა მსხვერპლად გახდომის შიში ღიად ბანერებზე გამოხატა: „ჩვენ თქვენი სუფთა სინდისისთვის, უარს ვამბობთ სიკვდილზე!“, „არ ვიმშობიარებ, თუ მკვდარი ვარ!“, „უარს ვამბობ ვიყო შენი მოწამე“ და „ჩვენ გვჭირდება ექიმები და არა პროკურორები!“. როგორც ჩვენი ერთ-ერთი გამოკითხული, გდანსკში საპროტესტო აქციის ორგანიზატორი იხსენებს:

> ინტერნეტ ფორუმები და ფეისბუქის ჯგუფები ემოციებისგან ზუზუნებდა; ქალები საუბრობდნენ იმაზე, რაც ხდებოდა, ისინი საუბრობდნენ თავიანთ წარსულ გამოცდილებებზე და ხვდებოდნენ თუ რამდენ ქალს უწევდა მსგავსი სიტუაციების გამოვლა. (ინტერვიუ 2019 წლის 29 სექტემბერი, ჩვენი თარგმანი)

ქალების ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების შელახვის საფრთხე ფართოდ აღიქმებოდა, როგორც სერიოზული, რადგან პოლონელი ქალები როგორც პაციენტები რეგულარულად განიცდიან დამცირებას და დაკნინებას, როგორც სახელმწიფო საავადმყოფოებში, ასევე კერძო გინეკოლოგიურ კლინიკებში. 2018 წელს “ღირსეული მშობიარობის ფონდის” გამოქვეყნებულმა ანგარიშმა აჩვენა, რომ გასულ წელს საავადმყოფოში მყოფი მშობიარე ქალების 54%-ს ამა თუ იმ ფორმით უფლებები შეელახა, რაც გულისხმობდა შანტაჟის, მუქარისა და შეურაცხყოფის სახით პირდაპირ ძალადობას და პაციენტის საავადმყოფოს საწოლზე ფეხებით მიბმის არაჰუმანურ პრაქტიკებს (Adamska-Sala et al. 2018). 2017 წელს, აბორტზე არჩევანის თავისუფლების მხარდამჭერმა ქსელმა, სახელად ‘დიდი კოალიცია თანასწორობისა და არჩევანისთვის’, საპროტესტო აქციებში მონაწილე ქალებისთვის კონკურსი მოაწყო და მათ აქტივიზმში ჩართვის მოტივების შესახებ მოკლე ესეების დაწერა შესთავაზა. ერთ-ერთმა ავტორმა ყურადღება გაამახვილა საჯარო კლინიკაში მშობიარობის საკუთარ გამოცდილებაზე:

> საჯარო დაზღვევის (NFZ) პაკეტი, საუკეთესო შემთხვევაში, გულისხმობს მოუთმენლობას და გულგრილობას თქვენი ექიმის მხრიდან, ასევე აგდებული დამოკიდებულებისა და ცუდი ხუმრობების სტანდარტულ დოზას. მაგრამ თუ თქვენ "რთული პაციენტი" ხართ — ანუ, თუ თქვენ სვამთ კითხვებს — დამცირებას და დაშინებას უნდა ელოდოთ. (Zakrzewska 2017: 39)

ასეთი გამოცდილება ასევე ხშირი განხილვის თემა იყო სამეგობრო წრეებსა და ინტერნეტ ფორუმებში. ფეისბუქის ჯგუფების წევრები, როგორიცაა Gals4Gals,

ერთმანეთს ხშირად უზიარებდნენ არა მხოლოდ მშობიარობისას, არამედ რუტინული გამოკვლევების დროს, გინეკოლოგებთან და ზოგად პრაქტიკოსებთან მიღებულ შემზარავ გამოცდილებებს..

პირად უსაფრთხოებაზე და ღირსებაზე ფოკუსირება ბევრად უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე აბსტრაქტული კატეგორიები, როგორიცაა არჩევანი ან რეპროდუქციული უფლებები, რომლებიც ფემინისტურ დისკურსში წინა წლებში დომინირებდნენ. ქალების ცხოვრებაზე კანონის კონკრეტულ შესაძლო ზეგავლენაზე ყურადღების გამახვილებამ იმოქმედა არა მხოლოდ მომავლისადმი მათ მოლოდინებზე, არამედ მათ მიერ თავიანთი სოციალური პირობების აღქმაზეც (Hemmings 2012). შავი პროტესტის რიტორიკის დიდი ნაწილი მიზნად ისახავდა იმ ნაპრალის გამოჩენას, რომელიც ქალთა უფლებების, როგორც დაცულობის, მთავარ დისკურსსა და იმ სოციალურ რეალობას შორის არსებობდა, რომელშიც მათი სხეულის მთლიანობა და უსაფრთხოების გრძნობა საფრთხის ქვეშ იდგა.

ამრიგად, ეჭვგარეშეა, რომ მოძრაობის წარმატება მძლავრი ემოციების მობილიზების უნარმა განაპირობა. ამ მხრივ შავი პროტესტი განსხვავდებოდა რეპროდუქციული უფლებებისთვის ადრინდელი ბრძოლებისგან: მათ შეამცირეს აქცენტი, როგორც ადამიანის უფლებების დისკურსზე, ასევე  საუბარი ლიბერალურ ინდივიდუალურ არჩევანზე, ავტონომიასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე. ამის ნაცვლად, აქტივისტებმა გამოიყენეს ენა და სურათები, რომელიც უაღრესად ემოციური და ხშირად დრამატული იყო. ლოზუნგები, შემახილები, ინტერნეტ-მიმები, პლაკატები და ბანერები, რომლებსაც ცალკეული ქალები სპონტანურად აკეთებდნენ, ხშირად პირველი პირის ექსპრესიულ ფორმას იღებდა: მაგ. „აქ იმიტომ ვარ რომ გაბრაზებული ვარ“; "მე აქ ჩემი ქალიშვილის გულისთვის ვარ." ფრაზა „ქალების წამება“ ხშირად გამოიყენებოდა შემოთავაზებული კანონის არსის აღსაწერად. ბევრი პლაკატი პროვოკაციული და კონფრონტაციული იყო: „მოაშორე შენი კრიალოსანი ჩემი საკვერცხეებიდან“ ან „ჩვენ გვინდა ექიმები და არა ფანატიკოსები“. სიტყვები "ღირსება", "ტანჯვა" და "სისასტიკე" ბევრად უფრო ხშირად გამოიყენებოდა, ვიდრე ემოციურად ნეიტრალური სიტყვა "არჩევანი" (თუმცა ეს უკანასკნელი ასევე გამოჩნდა ლოზუნგებში, როგორიცაა "ჩემი სხეული — ჩემი არჩევანია"). სოციალურ მედიაში გავრცელებული პირადი გამოცდილებები, ისტორიები, მედიის ინტერვიუები აქტივისტებთან და — ყველა ეს მასალა ძლიერ ემოციურ გამოცდილებას მოწმობს, რომელიც ინდივიდებმა განიცადეს და მყისვე გაუზიარეს ახლადშექმნილ

აქტივისტთა საზოგადოებას. ამ გზავნილებმა ძლიერი კოლექტიური მღელვარება გამოიწვია. ადგილობრივი პროტესტის ორგანიზატორის თქმით:

> [დემონსტრაციის დროს] იყო მომენტი, როდესაც ყველას სურდა ეჩვენებინა, რამდენი ვართ და როგორი გაბრაზებული ვართ, და ეს არ იყო ცუდი განცდა — ჩვენ შეგვეძლო ბრაზი კოლექტიური ქმედებად გადაგვექცია. (Murawska and Włodarczyk-ში 2017: 3, ჩვენი თარგმანი)

აკრძალვის შესაძლო შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელებამ მორალური შოკი გამოიწვია (Jasper 1997), ისევე როგორც ფემიციდისა და გაუპატიურების შემთხვევებმა არგენტინასა ან ესპანეთში. სწორედ ძალადობის და სასტიკი მოპყრობის მსხვერპლებთან მძლავრი იდენტიფიკაციით — და არა აბსტრაქტული უფლებების ჭვრეტით — ხდება ეს მიმზიდველი ფართო საზოგადოებისთვის. როგორც დიანა ბროგი წერს, სხეულის ავტონომიისთვის, ეკონომიკური უსაფრთხოებისა და ღირსებისთვის ბრძოლები და მოძრაობები ერთმანეთთანაა დაკავშირებული:

> [ქალები] პირველები არიან, ვინც თავიანთ ტყავზე გრძნობენ სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე დაფინანსების შემცირების, ძალადობის მზარდ შემთხვევებს, ფემიციდს და ტრანსგენდერი ადამიანების მკვლელობას — მსგავსი დანაშაულებისთვის 2019 წელი უკვე რეკორდულია. ამიტომ დღევანდელი არგენტინელი ფემინისტების სლოგანი შემდეგნაირად ჟღერს: „ჩვენ ვართ ის, ვინც ჩვენი სხეულის გამო შეიძლება შემდეგი გახდეს“. (2019)

ამგვარად, არგენტინაში (სურათი 6.2) და ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის სხვა ქვეყნებში, ხალხი მომიტინგეების რიგებს შეუერთდა ისეთი ლოზუნგებით, როგორიცაა "არც ერთი ქალით ნაკლები!" ან "ჩვენ ჩვენი თავი ცოცხალი გვინდა!", ხოლო პოლონეთში ბანერებზე ეწერა: "შეწყვიტეთ ქალების წამება!" და "მე აქ ვარ ჩემი ქალიშვილის/დის/მეგობრისთვის!". მსგავსი დინამიკა იყო ესპანეთში 2019 წლის ზაფხულში, სადაც მასობრივი საპროტესტო აქციები ქვეყნის 250 ქალაქში მოეწყო და გაუპატიურებისა და ფემიციდის შემთხვევების სერიის შემდეგ "ფემინისტური საგანგებო მდგომარეობა" გამოცხადდა. აქციის მონაწილეებს აერთიანებდათ ქალების სიცოცხლის ხელყოფის საფრთხე და რწმენა, რომ უკეთესი მომავლისთვის მათ ერთად უნდა ებრძოლათ. როგორც ესპანეთის საპროტესტო აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა განმარტა:

> ეს იყო ზაფხული, რომელშიც ჭარბობდა ბარბაროსობა, მკვლელობები, გაუპატიურებები, პედოფილია და ჯგუფური თავდასხმები. [...] ჩვენ არ შეგვიძლია დავუშვათ კიდევ ერთი სასკოლო ან საპარლამენტო წელი დაიწყოს ისე, თითქოს არაფერი მომხდარა. ამის გაკეთება იმის მოთმენა იქნება, რისი მოთმენაც შეუძლებელია. […] ეს საგანგებო ვითარებაა! (Jones 2019)

პრობლემის ასეთი ფორმულირება — ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უშუალო საფრთხისგან ქალების დაცვის აუცილებლობა — იზიდავდა არა მხოლოდ ქალებს, არამედ კაცებსაც. როგორც შავი პროტესტის ერთ-ერთმა მონაწილემ განმარტა:

> მახსოვს ის მამა, რომელიც აქციაზე თავის მცირეწლოვან ქალიშვილთან ერთად მოვიდა და ქალიშვილმა ჰკითხა, რატომ იყვნენ იქ, რისთვის, მამამ კი უპასუხა: მე ვიბრძვი შენი მომავლისთვის. ამან ჩემზე ძალიან იმოქმედა. (Murawska and Włodarczyk-ში 2017: 2, ჩვენი თარგმანი)

ეს ენა, რომელიც ძლიერი ემოციური მუხტით გამოირჩევა, სრულიად ეწინააღმდეგება გენდერზე ინსტიტუციონალიზებულ ექსპერტულ დისკურსს, რომელიც ხშირად თავსებადია ნეოლიბერალურ მმართველობასთან. ფემინისტური მოძრაობის ახალ ტალღაში ჩართული ქალები კვლავ ეყრდნობოდნენ სამედიცინო და სამართლებრივ ცოდნებს, მაგრამ მათ ის თავიანთი სურვილებითა და ემოციებით გააჯერეს, როგორც წანამძღვარი შემდგომი არგუმენტებისა და ფაქტობრივი მტკიცებების გასაკეთებლად. ამრიგად, ხორცშესხმული და აფექტური ფემინისტური ცოდნა გაჩნდა, როგორც ალტერნატივა ანტიგენდერული აქტორების ულტრაკონსერვატიული ენის და გენდერის ექსპერტების გამაუცხოებელი დისკურსისა, რომლებიც საუბრობენ გენდერულ მეინსტრიმინგზე, კვოტებზე და „leaning-in“-ზე (Korolczuk 2020).

რიგითი ქალების აფექტებისა და ცოდნისთვის უპირატესობის მინიჭებას ზოგჯერ თან ახლავს ამბივალენტობა და უნდობლობა აკადემიური ფემინისტებისა და ექსპერტული ცოდნის მიმართ, რაც ეხმიანება მემარჯვენე პოპულიზმის უნდობლობას ცოდნის ოფიციალური ინსტიტუტებისადმი. ქალთა გაფიცვის საფუძვლებისა და შედეგების შესახებ დებატების შემდეგ, ზოგიერთმა აქტივისტმა გაბრაზებულმა უარყო მკვლევრების მიერ საპროტესტო აქციების შესახებ დაწერილი და გამოქვეყნებული წიგნები და სტატიები. აკადემიური კვლევები განიხილებოდა, ჩვეულებრივი ქალების ცხოვრებისეული გამოცდილებების არალეგიტიმურ მითვისებად და ექსპლუატაციად. მაშინ, როდესაც ფემინისტი მკვლევრები,

რომელთაგან ბევრი ასევე მონაწილეობდა პოლონელ ქალთა მოძრაობაში, თვლიდა, რომ ისინი მონაწილეობდნენ ბრძოლაში, სთავაზობდნენ სასარგებლო ცოდნას და ხელს უწყობდნენ მოძრაობის მიღწევების საზღვარგარეთ პოპულარიზებას — აქტივისტები ასეთ შეხედულება სულაც არ იზიარებდნენ. ეს დაძაბულობა გლობალურ ფემინიზმში მიმდინარე ცვლილებების სიმპტომია: სვლის იმისკენ, რასაც ჩვენ *პოპულისტურ ფემინიზმს* ვუწოდებთ, რომელიც თავის თავს ლიბერალურ ელიტებთან, და, მათ შორის, ტრადიციულ ფემინისტურ წრეებთან დაპირისპირებულობაში განსაზღვრავს.

## დასკვნები

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ პოლონეთის ქალთა გაფიცვის წარმატება ეფუძნებოდა მოძრაობის უნარს, პროგრესული პოლიტიკური პროექტისთვის პოპულიზმის ლოგიკას დაუფლებოდა. მსგავსი დასკვნები გაკეთდა ფემინისტური გამოსვლების ახალ ტალღაზე მთელ მსოფლიოში. მოძრაობები იზრდებოდა მონაწილეთა შორის საერთოობის იდეის მხარდაჭერით („ჩვეულებრივი ქალები“), ჩართულობის ადრინდელი კონცეფციის უარყოფით (რევოლუციაში მონაწილეობისთვის საჭირო აღარ იყო „ფემინისტური“ იდენტობის გაზიარება) და მძლავრი რიტორიკისა და სიმბოლური რეპერტუარის გამოყენებით, რომელიც კოლექტიური აფექტის მობილიზებას ახდენდა ("ღირსება", "წამება" და "სისასტიკე" და არა "არჩევანი"). ადამიანის უფლებათა ლიბერალური დისკურსის ჩარჩოზე უარის თქმით, ამ მოძრაობებმა თავიანთი ძალა როგორც პირად, ისე კოლექტიურ ემოციებზე ააგეს. ფაქტობრივად, საჯარო სფეროში ახალი კოლექტიური სუბიექტი ჩამოყალიბდა: გაბრაზებული ქალები ძლიერი პოლიტიკური იდენტობით.

პოლონეთის შავი პროტესტების, არგენტინის ნი უნა მენოს [Ni Una Menos] ან იტალიის ნონ უნა დი მენოს [Non Una di Meno] „პოპულისტურ ფემინიზმად“ ინტერპრეტაცია პოპულიზმის კონკრეტულ გაგებას ეფუძნება. თუ ჩვენ მივყვებოდით ვოდაკის (2015) მიერ პოპულიზმის, როგორც იდეოლოგიის კონცეპტუალიზებას, რომლის მიხედვითაც პოპულიზმი აუცილებლად ქსენოფობიასთან და ეთნო-ნაციონალიზმთანაა დაკავშირებული, ასეთი აღწერა ბევრს არაფერს მოგვცემდა. ფემინისტმა აქტივისტებმა უარყვეს ხალხის ეთნო-ნაციონალისტური განსაზღვრება და მემარჯვენე პოპულიზმის მორალისტური ჩარჩოები (ანუ დაშვება, რომ „ჩვეულებრივი ხალხი“ კონსერვატიულია და „ლიბერალური ელიტისგან“ უნდა იყოს დაცული). თუმცა, თუ ამგვარ განმარტებებს გვერდზე გადავდებთ, მაშინ ამ

ფემინისტური მოძრაობების სამმა მახასიათებელმა შეიძლება მათი მემარცხენე პოპულიზმებად დანახვის საშუალება მოგვცეს.

პირველი, ფემინისტი აქტივისტები სხვადასხვა ადგილას აგრძელებენ „ხალხი ელიტის წინააღმდეგ“ ბინარულობის გამეორებას, რასაც წამყვანი მნიშვნელობა აქვს პოპულისტური მობილიზაციისთვის და რაც საერთოა პოპულიზმების სხვა მხრივ განსხვავებულ განმარტებებში, რომელსაც ისეთი მოაზროვნეები გვთავაზობენ, როგორიცაა კას მადი და შანტალ მუფი. შავი პროტესტები ულტრაკონსერვატიული „ელიტების“ წინააღმდეგ ბრძოლაში გაბრაზებულ ქალებს (და მათ მხარდამჭერ კაცებს) პოზიციონირებდნენ როგორც „ხალხად“. მეორე, ფემინისტური აქტივიზმის ტალღამ, რომელმაც 2016 წელს იფეთქა, წარმატებით შეძლო ისეთი ემოციების მობილიზება, როგორიცაა ბრაზი, შიში და სოლიდარობა და დაშორდა ლიბერალურ ფემინისტურ პარადიგმას, რომელშიც არგუმენტირებული მსჯელობა დომინირებს. დაბოლოს, აქტივისტების მიერ გამოყენებული ეპისტემური სტრატეგიები, ქალებისთვის საერთო ხორცშესხმულ [embodied] ცოდნას უპირისპირებს, როგორც ულტრაკონსერვატიული აქტორების არასხეულებრივ ცოდნას, ისე ლიბერალურ ჩარჩოს, რომელსაც მეინსტრიმ ქალთა მოძრაობები იყენებენ (Korolczuk 2020). ცოდნის წარმოების ეს ტიპი პოპულისტური მოძრაობებისთვისაა დამახასიათებელი, რომლებიც ექსპერტებისა და აკადემიური ინსტიტუტების ავტორიტეტის ეჭვქვეშ დაყენებით ცდილობენ ისტებლიშმენტთან დაპირისპირებას (Dean and Maiguashca 2020).

ცხადია, კითხვა, თუ ვინ არის ხალხი, ვის შეუძლია მათი წარმომადგენლობა პოლიტიკურ ასპარეზზე და ვისი ცოდნა ითვლება ლეგიტიმურ ცოდნად, დღევანდელი ბრძოლების საკვანძო საკითხია. შესაბამისად, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ამჟამინდელი ფემინისტური მოძრაობა ცდილობდა „პოპულიზმის ხელში ჩაგდებას მისი ზოგიერთი ძირითადი პრინციპის თავდაყირა დაყენებით“ (Emejulu 2017: 65). **პოლონეთში, ქალთა ბრძოლამ რეპროდუქციული თავისუფლებისთვის წარმატებით შეძლო სახალხო აჯანყების, დემოკრატიის სასარგებლოდ და მემარჯვენე პოპულიზმის ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სახე მიეღო.** ის ასევე მემარცხენე მოძრაობა აღმოჩნდა, რომელიც უყოყმანოდ უჭერდა მხარს სახელმწიფო მხარდაჭერის მოთხოვნით შშმ პირთა პროტესტს და თავის მიზნებს შორის აერთიანებდა რიგ მოთხოვნებს ზრუნვის, ოჯახების სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური სამართლიანობის შესახებ. მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა სხვა კონტექსტშიც: როგორც იტალიის Non Una di Meno, ისე არგენტინის Ni Una Menos, გენდერული ძალადობის საპასუხოდ გამოვიდნენ ასპარეზზე, თუმცა მათ მალევე გააფართოვეს თავიანთი დღის

წესრიგი და სოციალური სამართლიანობის მოთხოვნებიც მოიცვეს (Arruzza and Bhattacharaya 2019).

2020 წლის ოქტომბერში, როდესაც ამ ხელნაწერს ვასრულებთ, პოლონელი ქალები კვლავ გამოვიდნენ ქუჩებში, რათა გააპროტესტონ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც აბორტს უკანონოდ თვლის ნაყოფის ანომალიურობის შემთხვევაში. დემონსტრაციების ეს ტალღა კიდევ უფრო მასიური და მძვინვარე იყო, ვიდრე 2016 წლის ქალთა გაფიცვა. როგორც ბევრმა კომენტატორმა აღნიშნა, ის რევოლუციის ბევრ ნიშანს ატარებდა, რომელიც მიზნად როგორც ეკლესიის, ისე მთავრობის ძალაუფლების მორყევას ისახავდა (Gessen 2020, Pacewicz 2020). რევოლუციური სულისკვეთება აშკარა იყო უკომპრომისო მოთხოვნებში (მათ შორის, "კანონი და სამართლიანობის" მთავრობის გადადგომა), რადიკალურ ენაში (მათ შორის ბანერებსა და გამოსვლებში პროფანულ და აშკარა სექსუალურ მინიშნებებში) და პოლიციასთან დაპირისპირებაში შესვლის მზაობაში. მოძრაობის მიზნების პოპულისტური ტერმინებით ჩამოყალიბების ტენდენცია კიდევ უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე ეს 2016 წელს იყო: ამპარტავან, საძულველ პოლიტიკურ ელიტასა და მასებს შორის დაპირისპირებაზე ხაზგასმა, რომელთა სამართლიანმა რისხვამ და სასოწარკვეთამ ისინი შუა პანდემიაში ქუჩაში გამოიყვანა — მოძრაობის წამყვანი დისკურსული ელემენტი გახდა.

ქალთა მასობრივი მოძრაობები, რომლებიც ბოლო წლებში ისეთ ქვეყნებში გაჩნდა, როგორებიცაა პოლონეთი, არგენტინა და იტალია, აპროტესტებენ არა მხოლოდ გენდერულად კონსერვატიულ საჯარო პოლიტიკებს და დისკურსებს, არამედ პოლიტიკურ ლოგიკას, რომელიც მემარჯვენე პოპულისტებსა და ავტოკრატებს ამოძრავებს. როგორც მარგარეტ კანოვანი (2005) ამტკიცებს, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, რწმენა, რომ ხალხის თანხმობა ძალაუფლების ერთადერთი ლეგიტიმური საფუძველია, საყოველთაოდ ცხადი გახდა, მაგრამ კითხვები იმის შესახებ, თუ ვინ არის ხალხი და ვის შეუძლია მათი წარმომადგენლობა, ღია დარჩა. დღევანდელი ფემინისტი აქტორები გვთავაზობენ მემარჯვენე პოპულისტებისგან რადიკალურად განსხვავებულ განმარტებას იმაზე, თუ ვინ არის ხალხი. იმის ნაცვლად, რომ ხაზი გაუსვან ჰომოგენურობას, მორალს და ეროვნული სუვერენიტეტის აუცილებლობას, ქალთა მოძრაობები ითვისებენ პლურალობას, ინტერსექციურობას და გლობალურ სოლიდარობას. იმის მიუხედავად, გვჯერა თუ არა შანტალ მუფის მტკიცების, რომ მემარცხენე პოპულიზმი ერთადერთი ეფექტური პასუხია მიმდინარე ულტრაკონსერვატიულ, არალიბერალურ ტენდენციაზე,

გენდერის გარშემო თანამედროვე ბრძოლების ანალიზი აჩვენებს, რომ ისინი, რეალურად, დემოკრატიის განსაზღვრებისთვის, წარმომადგენლობისა და პოლიტიკური საზოგადოებისთვის ბრძოლებს წარმოადგენენ.